



### **რედაქტორისაგან**

დაარსების დღიდან ჩემი მიზანია წიჭიერი  
ბავშვების აღმოჩენა, მათი დახვეწა,  
პოპულარიზაცია, რაც დიდ შანსს და სტიმულს  
აძლევს მათ მომავალში, უფრო აქტიურად  
გააგრძელონ ცხოვრება. მაქსიმალურად გამოიყენონ  
საკუთარი შესაძლებლობები და გამოადგნენ  
ქვეყანას. სამწუხაროდ მსგავსი ხელშეწყობა ჩემს  
თაობას არ ჰქონდა და მე მინდა მომავალ თაობას  
ქვეყნის ყველაზე დიდ საგანძურს, მცირეოდენით  
მაინც შეცუწყო ხელი.

დაარსებიდან დღემდე ორგანიზაციამ ჩაატარა  
78-საგნობრივი ოლიმპიადა. 30-ლიტერატურული  
კონკურსი, 10-საქალაქო ღონისძიება. 90-მოსწავლე  
დაჯილდოვდა უმაღლესი ხარისხის დიპლომითა  
და ფასიანი საჩუქრებით. 80- მასწავლებელს გადაეცა  
მადლობის სიგელი.

**ჩვენ გავაგრძელებთ წიჭიერი ბავშვების ძიებას და  
შენ იყავი შემდეგი!!!**

სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება ჩემი  
ყველა წიგნი, ღონისძიება, კონკურსი და ეს  
ურნალიც. ეს არის ის დიდი მესიჯი, რომელიც  
მინდა გავუგზავნო არა მარტო იმ ბავშვებს და  
მშობლებს, რომლებსაც ჩემთან ერთად გამოიარეს ეს  
გზა, არამედ მინდა ამ მატარებელზე ყველა ბავშვი  
ამოვიდეს და ერთად მივიდეთ წარმატებამდე!

ესანა წულჭვია

შემოქმედებით-შემეცნებითი  
ჟურნალი.

## მწიგნობარი

ა(ა)ბ

„მწიგნობარი“ დაფუძნდა 2010 წ.

- **გამოშვერელი და მთავარი  
რედაქტორი:**  
 **მანანა წელუკიძე**
- **კომპიუტერული დოზაინერი:**  
 **რამაზ გერიძე**
- **ა(ა)ბ „მწიგნობარის“  
მისამართი: ქოთევან წამებულის  
№36**

### □ ტელეფონი

555 511 018

### □ ემაილი:

[mtsignobari@mail.ru](mailto:mtsignobari@mail.ru)

### □ ვებ გვერდი:

[www.mtsignobari.org.ge](http://www.mtsignobari.org.ge)

□ ჟურნალი გამოდის  
წელიწადში სამჯერ.

რეგისტრირებულია საჯარო  
რეკლამის.



### ნომრის შინაარსი

1.	ა(ა)ბ „მწიგნობარის“ ისტორია .....	2
2.	ძილოვები .....	3
3.	მშობლები, მასწავლებლები, მოსწავლეები „მწიგნობარის“ მესახებ .....	5
4.	პოეტური სხივი .....	7
5.	ნორჩი პროზაიკოსები .....	16
6.	ფერებით აღქმული სამყარო .....	21
7.	საგნობრივი ტესტები .....	23
8.	ფსიქოლოგია .....	26
9.	რელიგიური თემები .....	30
10.	რუსულა, იცით თუ არა, რომ? ? .....	35
11.	მსატვრული სიტყვის დიდოსტატები .....	37
12.	ქართველი მწერლების საბავშვო მოთხოვთები და ლექსები .....	40
13.	უცხოული მწერლის ნაწარმოებები .....	44
14.	გამოცანები, რებუსები, სახალისო ამოცანები, ბრძოლი გამონათქვამები .....	47
15.	თავსატეხები, ენის გასატეხები .....	51
16.	გააფეროდე .....	53
17.	იძოვე განსხვავება .....	55
18.	თავისუფალი თემა .....	56
19.	ფოტო გადატენა .....	58



## ა(ა)იპ „მწიგნობარი“ ისტორია

### მწიგნობარი



იდეაშ გაამარლა, ორგანიზაციაში თანდათანობით წარმატებული სამუშაო-სამეცადინო-საკონკურსო პროცესი წარიმართა.

2011 წელს, ორგანიზაციის შექმნის ინიციატორს (შემდგომში დირექტორს) ქალბატონ მანანა წულუკიძეს გაუჩნდა კიდევ ერთი იდეა: გარდა აღნიშნულისა, ორგანიზაციას აქტიური მუშაობა წარემართა შემეცნებით-შემოქმედებითი კუთხითაც კერძოდ, მან იმანიშვილი მოიწვია ახალი თანამშრომელი მზევინარ ძირკვამე, რომელთან ერთად დაიგეგმა შემოქმედებითი კონკურსების და მუშაობის პრინციპები, ორგანიზაციამ ამ მიმართულებითაც წარმატებული ნაბიჯები გადადგა, ხელი შეეწყო შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების აღმოჩენა-გამოვლენას და საზოგადოებასთან დაახლოებას. „მწიგნობარი“ მართავს სხვადასხვა თემატურ შემოქმედებით ღონისძიებებს, კონკურსებს, მხატვრულ კითხვაში, საკუთარ შემოქმედებით ნამუშევართა წარმოსახენ შეხვედრებს, ავლენს საუკეთესოებს და შეფასების მიხედვით აჯილდოებს დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

ორგანიზაციამ თანდათან კიდევ უფრო გააფართოვა სხვადასხვა ქანრის საქმიანობა. კერძოდ, ღონისძიებებზე, კონკურსებზე წარმოჩენილ მოსწავლეთა ნაწარმოებები. ფერწერულ ნამუშევრებს აგროვებს, ბეჭდავს, კინძავს და ამზადებს კრებულის სახით გამოსაცემად.

გარდა ამისა, ორგანიზაციამ გადაწყიტა გამოსცეს ქურნალი „მწიგნობარი“, რომელშიც ავტორთა ნამუშევრები და სხვადასხვა, მრავალფეროვანი თემატიკის შემცნებით-შემოქმედებითი-გასართობი მასალები.

ქურნალს დავანათლეთ ორგანიზაციის სახელი „მწიგნობარი“, რამე თუ შინაარსიდან გამომდინარე, იგი ბავშვებს მიაწოდებს სწორედ ცოდნის გასაფართოებელ სასწავლო მხატვრულ და შემოქმედებით-გასართობ მასალას. ვფიქრობთ, ქურნალის გამოცემის ინიციატორის ქალბატონ მანანა წულუკიძის იდეა გაამართლებს და წარმატებით შეასრულებს თავის ღრმა დანიშნულებას.

ორგანიზაცია ა(ა)იპ „მწიგნობარის“ თანამშრომლები: ბესიკ ბერიძე, თინათინ ფრანგიშვილი, გიტა ლემსაძე, ნინო ქარჩავა, ვახტანგ გოგრაჯაძე, რამაზ ბერიძე აქტიურად მუშაობენ ახალ პროექტებზე. მათი მიზანი ორგანიზაციის საქმიანობის და მიმართულებების კიდევ უფრო გამრავალფეროვნებაა. კარგი იქნება თუ ამ პროექტებში თავის წვლილს შეიტანენ და ითანამშრომლებენ ქურნალის მკითხველებიც.

გისურვებთ ჩვენს მიერ წარმოდგენილ შემცნებით-შემოქმედებით-გასართობ სამყაროში საინტერესო მოგზაურობას!

# მილოცვები



ა(ა)ის „მწიგნიბარი“-ის დირექტორს  
ქალბატონ მანანა წულუკიძეს

ქალბატონო მანანა, მივესალმები თქვენს მიერ დაარსებულ ჟურნალს, რომლისთვისაც  
ღრმა შინაასის მქონე სათაური შეგირჩევიათ. დარწმუნებული ვარ „მწიგნიბარი“  
მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩვენი ახალგაზრდობის შემოქმედებითი დაოსტატების  
საქმეში. გამოავლენს წიჭიერ ახალგაზრდებს, სწორ მიმართულებას მისცემს მათ მომავალ  
შემოქმედებით ცხოვრებას ახალ სახეებს წარუდგენს მხატვრული ლიტერატურით  
დაინტერესებულ მკითხველებს.

მე, როგორც ჩვენი რეგიონის მწერალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მადლობას  
გეუბნებით ამ საშვილიშვილო წამოწყებისათვის.

პატივისცემით


საქართველოს მწერალთა კავშირის  
აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე

დავით თედორაძე

გილოცავთ საბავშვო ჟურნალ „მწიგნიბარის“ გამოცემას. ვიმედოვნებთ, ჟურნალი ხელს  
შეუწყობს განათლებული და გონიერი მომავალი თაობის აღზრდას, ჩაუნერგავს მკითხველს  
სამშობლოსა და ერის სიყვარულს, განუმტკიცებს ეროვნულ ცნობიერებას, გაუღრმავებს  
სკოლაში მიღებულ ცოდნას.

გისურვეთ წარმატებებს

პატივისცემით,  
სულიკო თებიძე  
მინისტრის პირველი მოადგილე



\* \* \*

„ვინც ბალდებს ზრდის კეთილგონივრულად იგია გამაბედნიერებელი ერისა, რადგან სიყრმის დროს დათესილი მარცვალი დიდობაში უხვად გამოიღებს ნაყოფს“,- დიდი ვაჟას ეს სიტყვები ზუსტად ესადაგება ენთუზიასტი, შემოქმედი პედაგოგის მანანა წულუკიძის წარმატებულ აღზმრდლობით საქმიანობას.

„მწიგნობარმა“ თავისი მრაალფეროვანი შთამბეჭდავი და შთამაგონებელი ღონისძიებებით ფართოდ მოიცვა საჯარო სკოლების ქსელი. ენციკლობედიური შინაასის მქონე ლამაზად და მდიდრულად გაფორმებული ჟურნალი „მწიგნობარი“ კი კიდევ უფრო საინტერესო და შინაარსიანს გახდის ამ მუშაობას. მასში წარმოდგენილი მხატვრული სიტყვის დიდოსტატთა ქმნილებები, ჰუმანიზმის მაღალი იდეით გამსჭვალული დიდაქტიურ-პატრიოტული ხასიათის მასალა, მდიდარი ფოლკლორი სხვადასხვა სახის გასართობი და სავარჯიშოები, რებუსები და ანდაზები, გამოცანები და საინერესო ცნობები შთამაგონებელ საზრდოს მიაწვდის, დიდ ემოციურ ზეგავლენას მოახდენს ნორჩ მკითხველზე, გააძლიერებს მათ პატრიოტულ სულისკვეთებას, გააფაქიზებს და გაამდიდრებს მათ გემოვნებას, გაუღვივებს წიგნის, შრომის, დედულ-მამულის, ადამიანობის სიყვარულს გრძნობებს, შთაგონებას კეთილშობილურ აზრებს და მისწრაფებებს, ჰუმანიზმსა და კაცომოყვარეობის იდეებს.

მჯერა „მწიგნობარით“ ნასაზრდოები მკითხველი მხოლოდ სიკეთეს და ია-ვარდს დათესავს ცხოვრების გზაზე.

#### აკაკი ზოიძე

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის  
პედაგოგთა კავშირის, აჭარის  
რესპუბლიკური ორგანიზაციის  
თავჯდომარე, პროფესორი.

**მშობლები, მასწავლებლები, მოსწავლეები  
„მწიგნობარის“ შესახებ.**

\* \* \*

**„მწიგნობარი“ და მე**

რას ნიშნავს „მწიგნობარი“ ჩემთვის?

„მწიგნობარი“ ყველაფერია, არა მარტო ორგანიზაცია, არამედ ერთი დიდი ოჯახი. მე ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ ამ ოჯახის წევრად ვგრძნობ თავს. ყოველი ახალი დღე მწიგნობართან” ერთად, ჩემს ცხოვრებაში სიახლის შემომტანია. მაქვს შესაძლებლობა ყოველდღე გავიცნო უფრო და უფრო მეტი ადამიანი და დავიძევიდო თავი საზოგადოებაში.

„მწიგნობარი“ ეს არის რეალური გზა წარმატებისა და თვითრეალიზაციისაკენ. რომ არა „მწიგნობარი“, დღეს არ ვიქნებოდი ისეთი თვითდაჯერებული, როგორიც ვარ ახლა, მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. „მწიგნობარის“ განვითარება საწყის ეტაპზე, მე მჯერა, ორგანიზაციას აქვს იმის პოტენციალი, რომ არა მარტო აჭარაში, არამედ მთელ საქართველოში გაიდგას ფესვები და აღზარდოს ისეთი თაობა, რომელსაც თავისუფლად ვანდობთ ქვეყნის სადაცვებს.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაცემარი ჩემთვის ის მეტობრები არიან, რომელებიც „მწიგნობარის“ საშუალებით შევიძინე.

მე პირადად „მწიგნობარს“ პოეზიის სიყვარულმა მიმაჯაჭვა, პოეზია ეს ხომ სრული ჰარმონია, მართლაც რომ ჰარმონიული ურთიერთობები მყარდება ჩევნს შორის, იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც „მწიგნობარში“ პოეზიის სიყვარულმა შეუვევარა.

დიას „მწიგნობარი“ სწორედ ის ადგილი, სადაც ყოველთვის გვიხარია მისვლა და ვიცით რომ იქ მუდამ გველიან.

მარიკა ხოზრევანიძე  
ბათუმის №9 საჯარო სკოლა

\* \* \*

თანამედროვე მსოფლიო ერთხმად აღიარებს, რომ განათლება და ინფორმაციის წვდომა უმთავრესი პრიორიტეტია. სწორედ „მწიგნობარი“ ჩემი პატარა ოჯახი წარმატებული მომავლის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს.

„მწიგნობარი“ მოსწავლეების განვითარებაზე, წინსვლასა და წახალისებაზე ზრუნავს. მთელი მისი შემოქმედებითი ჯგუფის ამოცანაა, მომავალი თაობის შესაძლებლობების აღმოჩენა და მათი მომზადება წარმატებული მომავლისათვის. ოლიმპიადის პროგრამა გათვლილია იმაზე, რომ მოსწავლეებს ადრეული ასაკიდანვე განუვითაროს დამოუკიდებლად და კრიტიკულად აზროვნების უნარი. „მწიგნობარის“ დირექტორი ითვალისწინებს მოსწავლეების მოსაზრებებსა და სურვილებს იმისათვის, რომ მათი „მოდვაწეობა“ „მწიგნობარში“ საინტერესო თავგადასავლად აქციოს.

ნინო ქარჩავა  
შპს „გორდას“ მასწავლებელი

ა(ა)ბ „მწიგნობარი“ არის ორგანიზაცია, რომელიც ახალისებს და ცოდნას პრატებს მოსწავლეებს.

მე როგორც მშობელი და მასწავლებელი მივესალმები ამ დიდ წამოწყებას, რათა მრავალმა მოსწავლემ მიიღოს მონაწილეობა იმ ოლიმპიადებში, რომლებიც იმართება ქალბატონ მანანა წულუკიძის ხელმძღვანელობით.

ოლიმპიადაში შესული სავარჯიშოები მრავალფეროვანი და საინტერესოა: მათი საშუალებით მოსწავლე არა თუ ამოწმებს საკუთარ გონიერობის შესაძლებლობებს, არამედ სწავლობს ახალს, უვითარდება პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც აუცილებელი პირობაა ცხოვრებაში წარმატებისა და წინსვლისათვის.

ნანა ჩხაიძე

შპს გორდას მასწავლებელი

\*\*\*

მე, როგორც ლიტერატურული ორგანიზაციის „მწიგნობარის“ ერთ-ერთი საპატიო წევრი, ვფიქრობ, რომ ეს ორგანიზაცია არის: წარმოჩენის, ცოდნის და კულტურის ერთ-ერთი პირველი აგური. პირველ რიგში, დირექტორი უზრუნველყოფს წევრების საქმიანობას განსაზღვრული წესების დაცვით. მისი ხელმძღვანელი: ქალბატონი მანანა წულუკიძე დიდი პოტენციალით და პუნქტუალობით ეკიდება თავის რთულ საქმიანობას. ვამყობ და მიხარია რომ „მწიგნობარის“ წევრი ვარ და ამ ადამიანს ვუდგავარ გვერდში. მოვუწოდებ ახალგაზრდა თაობას: დაინტერესდით ამ ორგანიზაციით. ეს შეუწყობს ხელს თქვენს განვითარებას შემოქმედებით, კულტურულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ენრი ვერულიძე

ქობულეთის N 2 საჯარო სკოლა.

\*\*\*

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე შემოქმედებითმა პროცესმა და მოვლენებმა ახალი სივრცე შექმნა თავისუფალი, ჰუმანური და შემოქმედებითი პიროვნების ჩამოსაყალიბლებლად. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ყველაფერს ხელი შეუწყო ორგანიზაცია „მწიგნობარი“, რომელსაც გამორჩეული ადგილი უჭირავს თანამედროვე, როგორც საგანმანათლებლო, ისე შემოქმედებით სივრცეში. ორგანიზაცია „მწიგნობარი“, „ქალბატონი მანანა ის ხელმძღვანელობით გამუდმებით ცდილობს მოიძიოს რაც შეიძლება მეტი ნიჭიერი და შემოქმედი ახალგაზრდა, რათა მათ მისცეს საკუთარი თავის რეალიზების საშუალება, რაც ძალიან მისასალმებელია. პირადად ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა შემოქმედისთვის, ორგანიზაციასთან თანამშრომლობა და მის საქმიანობაში მონაწილეობა ძალიან დიდ სახოებასა და სტიმულს მაძლევს, ორი წლის განმავლობაში ვისწავლე არა მარტო ლიტერატურულ ღონისძიებებში მონაწილეობის პრინციპები, არამედ საზოგადოებასთან ინტეგრაციისა და ურთიერთობის სპეციფიკა.

„მწიგნობარი“ ყველანაირად მეხმარება საკუთარი ნიჭის მაქსიმალურად წარმოჩენაში, რისთვისაც ძალიან დიდი მადლიერება მინდა გამოვთქვა ამ ორგანიზაციისადმი. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ქალბატონ მანანა წულუკიძეს, რომელიც დაუზარელად ცდილობს საკუთარ სამშობლოს აღუზარდოს ნიჭიერი, ინტელექტუალური და შემოქმედებითი თაობა.

ნუკრი დუმბაძე

ხიჭაურის წმინდა გრიგორ ხანმთელის სახ. სასულიერო გიმნაზია





\* \* \*

როცა დამე ვარსკლავებს გულში ჩაიკრავს,  
მზის სხივები გუდა-ნაბადს აიკრავს,  
წავა ისევ, მიგვატოვებს ცოტა ძნით.  
რა სჯობია დილის მზის სხივს, ფანჯარაში შემოჭრილს,  
ან გაზაფხულს ულამაზეს, მშვენიერ ხეს შეფოთლილს.  
მიყვარს ამ ცის ყველა მადლი, გაუმარჯოს სიკეთეს!  
ვიცი, მჟღერა, დრო-ქამის სიყვარული იმეჯებს,  
იმედი მაქვს, ამ ყველაფერს ღმერთი მარად ინეტებს!

ქათევან კონცელიძე.

\* \* \*

მწე იმირება ზღვიმი,  
ხა ჩიბრი გულში,  
...თქმა მიწილოდა და ცერ ვთქვა;  
ხავშვი ტიროდა გუშინ.  
პატარა სოხოლოდა დედა,  
მინდათ ქრელი ბურთი  
დედის თვალებში სევდა  
გვალი დაქსდა ურჩი,  
ტალუბზე გარბის ქარი,  
ფაქტო დედა-შვილის ვაჟდავ,  
შურთის რომ ითხოვდა ბაჟდა,  
ნეტავ უფადა დედა?

მირანდა დემორჩილა  
შუაღელეს ს.ს.

\* \* \*

დამე, ისევ შენზე ფიქრებს ჩავაცვი ბნელი  
და გადავწევიტე მთვარე აღარ ამეშვა ცაზე,  
ჩემგან სიშორე შენთვის, ალბათ, არ არის ბნელი,  
აბა, მე მკითხე ყოველ დილით რად ვხატავ ხაზებს,  
რომლებიც ალბათ, შენი გულის ძერას მაგონებს,  
ადრე რომ ზემოთ-ქვემოთ აეშვ-დაეშვებოდნენ,  
ახლა ხაზები წააგავენ დიაპაზონებს  
და სამწუხაროდ, აგრძელებენ ცამდე სიშორეს.  
დავით დუმბაძე



### მუზა

სადღაც შორიდან უფალი მიძმობს,  
ჩემს გულში მუზა დიდ ადგილს ითხოვს,  
ითხოვს და ვუთმოს, მე ის მჭირდება,  
მუზა ჩურჩულით რითმებს მპირდება  
ვიცი, უბრალოდ არ შემპირდება,  
ნაწერს ვუყურებ, ვფიქრობ და ვტკჰები,  
რაღაც გამოვა, ასე მიგონა,  
და რა იქნება, - ამას ვერ ვძიდები.  
თამაში არ მინდა, არც ველოდები,  
უბრალოდ მინდა გული აგივსოთ,  
მე თქვენ მიყვარსართ და მეყვარებით,  
მსურს, რომ ლუქსემით გული გაგითბო  
ჭრავან კონცელიტე

### შუახევი

ღომიდან გადმოფრენილი  
ქარი გივარიცხნის დალალებს,  
შემზედ ლექსი რომ დავწერო  
ეგ სილამაზე მავალებს.  
ჩალმად გხურია ეგ მთები,  
კუჭის გივოცხნის მდინარე,  
დადი წარსული იქ არის,-  
ფალებოინში მძინარე.  
შენი მზე მარად თბილია,  
მთვარე-პირსაჭსე, მცინარე  
მინდა მკლავები მაგხვილ,  
ბალდი, ვით დედას მძინარე  
აქ ვიგრძენ, აქ შევიყვარე  
ქვეყანა ლვთისწილნაჭარი,  
აქ მინათდება ცისკარი  
ფირეზზე გადანაყარი.  
აქ ყველაფერი მათრობენ,-  
გველი, ხიცოცხლე, ხალისი.  
სულის შევენება ყვავილობს,  
ხიცოცხლესავით ლამაზი.  
დაგმვენდებოდა მეფობა,  
ხიტყვა შოთას თუ ხონელის.  
შენ ვერ დაგხატავს ლამაზო.  
ფუნჯი მხატვრის თუ პოეტის  
ვახტანგ გოგიანგაძე

# უნდა გულობრძეს

ცოცხალ არსებას ცოცხალი სული,  
მაღალმა ღმერთმა ვის არ ჩაუსვა,  
და სიყვარულის დიდი უნარიც,  
ყველას თავ-თავის გულში ჩაუდვა.

თვით ჩვენს სამყაროს მასაც აქვს გული,  
იგიც განიცდის ყოველ მოვლენებს,  
და თუ მას მკაცრად გაუსწორდებით,  
ჩვენს საზიანოდ იგიც მოქმედებს

გული საგულეს უნდა გულობდეს,  
და თავის სიტყვას თვით არ ახრჩობდეს,  
რა რიგ არ იყოს ძნელად სათქმელი,  
გაბედულადაც მართალს ამზობდეს.

გულს შეუძლია ინავარდოს და  
გულს შეუძლია იტიროს მწარედ,  
რადგან ის არის ცოცხალ არსება  
და მთე განიცდის ტკივილებს მწვავედ.

სიცოცხლე ჩვენი წარმავალია,  
მაგრამ უგულოდ რაღა ვიქნებით,  
როცა ჩვენს მკერდში გული არ გულობს,  
მაშინ ყველანი მშედად ვიქნებით.

ამიტომ გული უნდა გულობდეს,  
ზოგჯერ ტიროდეს ზოგჯერ ბარობდეს,  
ვისაც ასეთი გული აქვს მკერდში,  
მინდა უფალი მათ რომ წყალობდეს

ჩაქვი სოფ, საჩინო  
დავით „გურამ“ დავითამე.

**სიბერე მარტოობაში.**

ვზივარ და განვიცდი დახურულ კარებს...  
ვის ველოდები? ან რა მახარებს?..  
ეს გული მძიმედ ინახავს სათქმელს  
და მორიდებით გასცექრის სარკმელს  
კედარც ვიხსენებ იმ წლებს, ტკბილ ზღაპრებს,  
გული არ ითვლის წარსულს და აწმოს...

ზედმეტს არ ითხოვს და აღარც სამყოფს.  
და ეს თვალებიც ნელ-ნელა დასთმობს  
დილის მზის სხივის უბადლო ნათელს...  
ნეტავ გამითბეს ეს გული რამით,  
რომ არ ვითვალო წუთები ღამით.  
მთვარე დაანთებს წყვდიადში კოცონს,

აშრიალდება ფოთლები შორით...  
მარტოობისგან იშლება სხეული  
და უფრო მეტად ვხდები სნეული.  
ვზივარ და განვიცდი დახურულ კარებს  
არაფერს ველი, ან რა მახარებს?...  
ეს გული ისევ ინახავს სათქმელს  
და უიმედოდ გასცექრის სარკმელს.

სალომე დოკვაძე

# შენ ხარ ქართველი!

მე მიყვარს ჩემი სამშობლო, ერი,  
მე ქართველი ვარ, ვარ ბედნიერი.  
ჩემი სამშობლო იყოს დღეგრძელი  
და დაილოცოს ყველა ქართველი.



მიყვარს ქართული მზე და შავი ზღვა,  
ქართული მთები, ქართული მიწა.  
ღვინით გავსილი ფანწი და ჭიქა,  
ქართველი თუ ხარ, გული გაქვს წმინდა.

მომწონს იყალთო, გელათი, ზარზმა,  
მე იალბუზზე მსურს ფეხის დადგმა.  
ჩემს სამშობლომი დავეძებ აბლაც;  
შოთას ნაკვალევს, თამარის საფლავს.

მიყვარს ენგური, ჭოროხი მტკვარი,  
ფსოუ, კინტრიში და ალაზანი.  
მიყვარს ქართველი ადამიანი,  
მსარული და ლაზათაძანი.

მიყვას ქართული ჰიმნი და დროშა,  
ქართული გერბი, ქართული მმოხა.  
მე ქართველი ვარ და მიყვარს ლოცვა,  
მე ჩემი ხალხის მაქვს მუდამ ნდობა.

შენ ქართველი ხარ!!! მთაც იცი, ბარიც,  
თუ ქართველი ხარ, შენ გიყვარს ხმალი.  
შენ ფასი იცი ქართველი ქალის,  
შენ ქართველი ხარ, არა ხარ მსდალი.

შენ ქართველი ხარ!!! შენ იცი ბრძოლა  
და გამუდმენით ღვინით გსურს თროხა.  
შენ ამაყი ხარ, გიყვარს გართობა,  
შენ სხვებზე უკეთ იცი შენდოშა.

შენ ქართველი ხარ და შენ ხარ გმირი,  
შენი სამშობლოს ეშნით რომ იწვი.  
შენ ქართველი ხარ, გაქვს დიდი ნიჭი.  
არაფრის არ გაქვს კრძალვა და შიში.

შენ ქართველი ხარ!!! და გიყვარს დედა,  
გიყვარს შენ ქვეყნის პატივისცემა.  
თუ ქართველი ხარ, გაქვს მტკიცე რწმენა,  
გიყვარს სიმართლის აღიარება.



**საქართველო  
გვირჩების  
სამოაღრია!**



*საქართველო*

## მე და წყალი

კალაპოტში მდინარე ვერ ეტვა,  
ნაპირს ანგრევს, ყველა საზღვარს გადადის,  
კალაპოტში მეც რომ ვეღარ ვტევა,  
მეც მდინარე ხომ არა ვარ ნეტავი?

წვიმა არის წყალდიდობის მიზეზი,  
განსხვავება-მე წვიმა არ მჟირდება.  
ენერგია მაქვს ძალიან ულევი,  
და წყალივით ნაპირებს ვეხეთქები.  
წყალს ხმაურით მიაქვს ქვები, ლოდები,  
ზღვისკენ გარბის ღრიალით და გოდებით,  
მერე ნაპირს ეხეთქება ტალღები.  
მეც ამ ტალღებს, ალბათ, დავუშავსები.



ენერგიას ვერ ვუხერხებ ვერაფერს,  
ძლიერი და სწრაფი არის წყალივით.  
სახლში დედა გადავდალე კამათით,  
სკოლაში თქვენ დაგიჭიმეთ ნერვები  
ამდენ ხტუნვით ნეტავ რად არ ვიღლები?  
ეს ბავშვობის ბრალი არის იქნებ დღეს..  
მაგრამ რა ვქნა, არც მე ვიცი და არც თქვენ,  
ხვალ კი ალბათ მეც ქარივით ჩავდგები.  
ალბათ მიდულს ენერგია ულევი,  
როგორც ღვინო დუღს-ახალი მაჭარი  
დაღვინდება, დაღვინდება, აბა, რა?!  
მაჭარივით მაღლ მეც დავდევინდები.  
ელექტრი რეგაზიმვილა.  
შუალედეს საჯარო სკოლა.

## მე საქართველო ისეთი მინდა

ქართლოსის ჯიში, რუსთველის გონი,  
სისხლით და ხორცით და ხულით წმინდა.  
დავითის რომ ჰქონდა, თამარს რომ ჰქონდა,-  
მე საქართველო ისეთი მინდა!

მენ გამოკვეთვ კლდეში ვარძია,  
სვეტიცხოველი და ნიკორწმინდა.  
ივერია რომ ბრწყინავდა ოდეს,-  
მე საქართველო ისეთი მინდა!  
დღემდე მოვედით შრომით და ბრძოლით  
ენით, მამულით და რჯულით წმინდა,  
ვაჟას, აკავის და თაკობის  
ნაოცებარი მამული მინდა!

არცა რუსეთი, არცა ამერიკა,  
ჩვენი გზა არის უფლის გზა წმინდა,  
ილიას, მემედს, ზვიადს რომ სურდათ,-  
მე საქართველო ისეთი მინდა!

ნადარ ვაჩამე



საქართველო



**სიბერის ქამს...**

ჩუმად მუხლებს ეფერები,  
თითქოს ძალაც აღარ გაქვს.  
ზიხარ საკამზე, ვეღარ დგები,  
გულში ფიქრობ რაღაცას.

ფიქრობ ახალგაზრობაზე,  
იხსენებ იმ კარგ წუთებს,  
მაგრამ უცებ შიში გიპყრობს  
და საშინლად გაწუხებს.

მოხუცდი და უკვე გიჭირს,  
არ გასვენებს ფიქრები,  
ძლივს, ძლივობით წამოდგები  
თუმცა მაინც იღლები.

თვალებს უკვე ვეღარ ახელ  
წამლით გაბრუებული,  
დათრგუნული ზიხარ მარტო,  
ჯოხზე დაყუდებული.

ხვდები უკვე ვეღარ გშველის  
ვერც წამლები და ვერც სხვა,  
უკვე იცი, რომ სიკვდილთან  
შენი სული დამარცხდა.

სიბერის ქამს შენი თავი  
უკვე აღარ გეცნობა,  
უკვე ხვდები, რომ რთულია  
ამ ცხოვრების შეცნობა.

უკვე ჩვილი ბავშვს ემსგავსები,  
გული მალე გიჩუყდება.  
იმედი გაქვს სიცოცხლისა,  
ეს იმედიც გიცრუვდება.

და ჰა, ქამი სიბერისა  
ოცნებაში დაფანტულა,  
სხეული მიწას ჩაპბარდა,  
სული უკვე გაპარულა...

მეზიარე უსასრულოდ, უსაშველოდ, მეზიარე,  
მეზიარე და გავტკვეთოთ ზეცა ვარსკვლავ სხმოიარე,  
მოვიარე, მოვიარე, საზიარო „ჭილოფები“...  
მოდი ერთად ვიზიაროთ, გაჭრილ ზაეცის ჭრილობები,  
მეზიარე და მიშუშე მარტოობის იარები!  
ოღონდ ჩემს მარტოდ ყოფნაში ნუ, ნუ, შემეზიარები!  
მეზიარე და სულ ცოტა შენებაში მეზიარე,  
მითუმეტეს შემეფეთა მე ზამთარი მთოვიარე.  
ავაშენოთ გრძნობის სახლი თორებ სულ გადამიყოლა  
ამ ზამთარმა, ამ ზამთარში, შეშად მქონდა მეტაფორა,  
თბილ ზამთართან საზიაროდ ცივი თოვლი მქვია რად?  
შარშან კიდე ამისათვის სევდა გვეონდა ზიარად,  
გახსოვს?! შარშან ოცნებაში თუ სიზმარში გვახლე,  
ფიალით ოცნება ცალე მე სიზმრები გიახლე,  
ახლა მხოლოდ საზიარო დაგვრჩა მიწა საცილო,  
სასაცილო, სასაცილო, მიწას ვინ ავაცილო,  
მე, ჩვენს მიწას საშეხვედრო ქვაფენილსაც დავაშენ,  
რომ სულ ცოტა საზიარო რაღაც გვეონდეს მე და შენ,  
მეზიარე კიდევ ერთხელ, კიდევ ბევრჯერ მეზიარე,  
რომ გავტკვეთო ბედისწერის, ზეცა ცრემლად წვიმიარე,  
რომ ერთხელაც დავასრულო უსასრულო გაკვეთილი,  
შიგ შთავიდე, ამოვკერო, ზეცა მუცელ გაკვეთილი  
მეზიარე და ერთხელაც გამოვცალოთ ფიალები,  
ოღონდ მწარე მარტოობავ, შენ ნუ შემეზიარები...

**ნუკრი დუმბაძე**

ზიქაურის წმინდა გრიგორ ხანძთელის სახ.. სახულიერო გიმნაზია

## ჩემი ცხოვრება.

(ცუძღვნი-ზურაბ გორგილაძეს)

დაბადებით მარტოდავარ, ვიცი  
არავინ მყავს შედის გამკითხავი.  
არ მეღირსა ტკბილი დედა, იცით.  
დედის სახეს, დღესაც მაინც ველი.  
გავზრდილვარ და ფეხიც ამიდგია,  
უდედოდ მე დედაენაც ვიცი.  
ციც მიწაზეც ფეხი დამიდგია,  
მაგრამ მაინც ობლობითა ვიწვი.

ნერა იმას, ვისაც უთქამს დედა...  
ანდა დედის ალერსით გამძლარა,  
ანდა დედა ეტყვის: გენაცვალე!  
ხელს მოგისვამს და გულში ჩაგივრავს.  
იცი დედა, მე წერა ვისწავლე!  
ბევრი ლექსი მუხლზეც მიწერია.  
მე მინდოდა ყველა წამეკითხა,  
შავმა მიწამ ყველა გამიწირა.

როცა მიველ, ამოვთხარე ორმო  
და შიგ დამხვდაცარიელი მიწა  
გულში სისხლმა, იმწამსვე იჩქეფა!  
გამახსენდი დედავ! დედავ! დედავ!

მე რომ გვერდში დამრიგე მყოლოდა.  
ჩემს ნაწერებს ის შეინახავდა.  
და პირველიჩემი ნაწერები  
გულში დარდად მე არ ჩამყვებოდა.  
ასე იყო ჩემი ბედი ხალხნო!

გაჭირვებაც, ლხინიც მინახია  
როცა დავდექ, ცხოვრებისა გზაზე  
მაშინ მივხვდი ცხოვრებისა ფასსა.  
ამის მეტი რაღა დაგიწეროთ,

დაღლილი მაქვს ცხოვრებისგან გული  
მე მაჩუქა ღმერთმა დიდი გრძნობა.  
ვარქართველი „ჩემი დიდი ნიჭით“.

გორგი ბოზრევანიძე.  
ქომულების N1 საჯარო სკოლა.

## იმედის მტრედი

ციდან მოდის წვიმის წვეთი თეთრი მძივებით  
და მას მოჰყება იმედის მტრედითბილის სხივებით,  
წვიმასთან ერთად თეთრი ნუგეში მიწასთან რჩება  
და ჩემი გულის ჩუმი ტანჯვა თითქოს და ქრება.

ცაზე თუ ღრუბლების შავი გროვა გადაიყარა  
და ამ ღრუბლებმა შორი მთები გადაიარა.

აი, გამოჩნდა ცის კაბადონზე ცისფერი მდელო  
აქეთ მოფრინდი, ჩემს სანუგეში იმედის მტრედო.  
გული გამითხე შენი სხივის თბილი ნუგეშით  
იმედის ცეცხლი განმიახლე და ტანჯულ სულში,  
მოდი, მასწავლე სიყვარულის ნათელი სითბო  
და მე არაფერს ამის გარდა არაფერს ვითხოვ.  
მხოლოდ მასწავლე სიყვარული ეს ნაზი გრძნობა,  
რომ ვინარნარო შენსავით ლალად ცის კიდობაშზე  
მინდა გიყვარდეს მინდა ვეტრფოდეს ერთს მხოლოდ ერთს  
და მე მივანდეჩემი ბედი უფალს, მაღალ ღმერთს

თებრონე ზოიძე



## ფეხვეშ მოიგდო დრომ დედამიწა.

ფეხვეშ მოიგდო დრომ დედამიწა,  
მოდის მთებიდან ქარი, ცელივით  
მოთიბავს ფოთლებს, ხოლო დედა ხე,  
ბოლო ხიმდერას მღერის გედივით.

ჩახიდებიან ხეები მიწას,  
ჭია გადაღრდნის ფეხვების ვენებს,  
ვითქმრიმხალში სათუთი ია,  
სიცოცხლეს ვანდობთ ჩვენც დროის ხელებს.

კალმის ცრემლები დასტირის ფურცელს,  
თითქოს ხე ტოვებს სევდიან ანდერძს:  
მიწავ, ეს ჩემი გული შენია,  
ოქროსფერ ფოთლებს მძივებად გაბნევ!

მუხაინახავს დიდ ისტორიას,  
თითქოს წარსულის ნაკვალევის.  
მოდიან დროინ ზარბაზნებივით  
დაიღიას შუბს მისჩერებიან.

დახვრიტეთ, მაგრამ მაინც გახსოვდეთ,  
მახში მომაქლის ნერგის თესლია,  
მოდიან დროინ და ჩვენც მოვდივართ,  
თუმც ამ ჩვენს მოსლას ეჭვით ხვდებიან.  
ერთი გასრილა წააქცევს ხეს და  
იძისგან თითქოს მხოლოდ ფერფლია...  
მოვდივარ, პეშვემი მიყრია მიწა,  
რომელზეც მხოლოდ ერთი ნერგია,

მოდით, ჩახედეთ ერთად, თვალები  
როგორ მწარედ და უხმოდ კვნესიან.  
დედა-ხე ტოვებს ფოთლებზე ანდერძს  
თვალებს აიკრავს რაღაც თამაღა,  
მეხელით მომაქვს ეს ერთი ნერგი,  
როგორც აღმსდგარი ქრისტე ძვლებიდან.

ნიკა ფუტკარაძე  
ბათუმის N 2 საჯარო სკოლა.



## წმინდაო ღმერთო!

წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო  
მოგვეც შეწევნა შენი.  
გადაგვიშალე შენი ბიბლია  
და დაგვანახე მეტი.  
წმინდაო ღმერთო, ღმერთო ძლიერო  
შენ გაგვინათე გზები,  
წმინდა ილია ასე ამბობდა,  
ჩვენთან არს ისევ ღმერთი.  
უფალო, მაშინ როცა გოლგოთას  
იქს აცვეს ვნებით,  
მისი ყოველი სიტყვა „მიყვარხარ“!  
იყო სიცოცხლის მცველი.  
მაშინ, როდესაც თაბორის მთაზე  
ქრისტემ იცვალა ფერი,  
ჩვენი გულები უმაღლ გაბრწყინდა,  
მაღლით გამოჩნდა მტრედი.  
ყოველ ტაძარში კრძალვით და რწმენით  
ავანთო მინდა ცეცხლი,  
რომ ჩვენს გულებში სწსრაფად გამოჩნდეს  
მოწყალე ქრისტე ღმერთი!

სალომე ხილაძე,  
ფურტიოს საჯარო სკოლა.



## მინდა იცოდე

უშენოდ წამი საუკუნეა,  
უშენოდ მთვარე დღეს მიიღია,  
უშენოდ თვალმა ცრემლი დალია,  
უშენოდ სუნთქვა არ შემიძლია.

ჯავშანი რომ დამეუფლება,  
შეიძყრობს ჩემს გულს იარა დასმულს,  
ნეტავი ერთხელ კიდევ მანახა  
შენი ღიმილი, ბოლოდ მე ტანჯულს.

ნეტავი ერთხელ კიდევ მანახა  
შენი ნათელი თვალების ელვა,  
შენში ყველაზე ძვირი მეგონა  
ერთგულება და პატიოსნება.

მაინც მიყვარხარ, მინდა იცოდე,  
ვერ დაგივიწყებ მგონი ვერასდროს,  
სიყვარულია, ასე მტანჯველი,  
ტკივილი, ჩემი სამარადისო.

რუსუდან ცხადამე  
განთიადის საჯარო სკოლა

## დედა

დედის გმირობის ლეგენდა თქმულა  
დედის სიწმინდე, დედის დიდება  
იგი ყოველთვის იმარჯვებს სხვებზე  
როცა სიკეთის კარი იღება.

დედამ გვასწავლა სულის სიმტკიცე  
კაცურკაცობა და ვაჟვაცობა  
მოყვარის მოყვრულად დამფასებელი,  
არასდროს ყოფილა მტერთან დამთმობი.

დედა სიტყვაა თბილი, ნათელი  
დედამიწაა, დედაბობია,  
დედა საწყისი ჩვენი ცხოვრების  
მუხმოდრეკილი მასთან მიდიან  
დარინა აბშიძე.

დაგვას საჯარო სკოლა

## ცხოვრების სცენაზე\_მხოლოდ ღირსეულნი!

ცხოვრების სცენაზე\_მხოლოდ ღირსეულნი!



ბათუმი... ზღვა... სიცხით გათანგული დამსვენებლები... სურვილებით დატენილი კნეჭები ერთმანეთის მიყოლებით ცვივა წყალში. ნაპირზე ცხვირპაჭუა ქერა გოგონა ქაღალდის ნავსაკეთებს.

დავბორიალებ ფიქრთა ხვეულში, მოგონებათა ლაბირინთიდან გამოღწევას ვცდილობ... გული მიმსუბუქდება, უცნაური გრძნობა შემომიჩნდა..

ნია, დე, მოდი სხვა სათამაშოთი გაურთე! მიმართეს გოგონას.

ნია, ნია, ნია! რიტმულად ვივსები ამ სახელით.. რა თქმაუნდა, ნია!

...ჩემი ბავშვობის მეგობარი, ჩემი ზღვისფერთვალა ნია გამახსენდა! ერთი შეხედვით ჩვეულებრივი გოგონა, ყველასგან განსხვავებული. საოცარი ღიმილი იცოდა და ამ ღვთისგან ნაბოძებ ნიჭს შესანიშნავად იყენებდა, იღიმებოდა, სულ იღიმოდა, კისკისებდა, ვზილებმუა სივრცე სასაცილო გამომეტყველებას აძლევდა. მხიარული, მაგრამ ძალიან ღრმა, გამჭოლი მზერა ჰქონდა. გამხდარი ჩია გოგონა, იასავით ნაზი, სათუთი და მორცხვი იყო, მაგრამ, ყველა ამ თვისებას მაშინვე იუიწყებდა, თუ მეგობარს დაცვა და თანადგომა სჭირდებოდა! მახსოვს, როგორ სცემა ჩემს გამომეზობლის ბიჭი, ჩემს დაბრიყებას რომ ცდილობდა...

ბავშვი ზღვის ტალღებში ქაღალდის ნავის გაშვებას ცდილობს.

მე და ნიაც ვაკეთებდით ფერადი ფურცლებისგან ნავებს და მერე ჩვენი ქუჩის ბოლოს, სარწყავ არხში ვუშვებდით, ნატვრა-სურვილებით დახუნძლულს. მივდევდით არხეინად მოცურავე ნავებს და ვჯეროდა, რომ ჩვენი სურვილი აუცილებლად ახდებოდა. გამოუსწორებელმა მეოცნებებმეც ოცნების ფრთები შემასხა.

ციცქა გოგოს ნავი ზღვამ გაუნადგურა, დაიმალა და შთანთქა.

ჩემი მეგობრის ნავი ყოველთვის ჩემს ნავზე სწრაფად მიცურავდა. თითქოს თან გაჟყვა იმ ნავებს ბავშური უზრუნვლობა... ნიას ოჯახი სხვა ქაღაქში გადავიდა საცხოვრებლად. წლების შემდეგ ჩვენც მოგვიხდა მშობლიური ადგილების დატოვება ახალმა გარემომ თითქოს დამავიწყა წარსული, მეგობრის ხალისიანი კისკისი, ანთებული თვალები და ქერა კულულები. მაგრამ ახლა ვიგრძენი, როგორმომნატრებია მისი სულის სითბო!



ნიას გვერდით მასავით სრულყოფილი ვხდებოდი. ორივეს ძალიან მოგვწონდა ქარიანი ამინდი, სახლთან ახლო გორაზე ავტორებოდით, ხელებს გავშლიდით, თვალებს ვხუჭავდით და თავი ჩიტებად წარმოგვედგინა. ცხრა მთას და ცხრა ხეებს რომ გადაღახავს ოცნების ძიებაში. ახლაც, როცა სევდა შემომაწვება, თვალებს ვხუჭავ და ვცდილობ სხეულიდან გამოვიდე, როცა მორევისაგან მივექანები, ცხადად დამიდგება თვალწინ სახენათელი და მოკისკისე გოგონა, მეცბედნიერი ვუბრუნდები რეალობას.

მიიღორუბლა... ზღვაზე რძისფერი ნისლი ჩამოწვა...

ვინც კი ოდესმე მეგობარის სახით გამოჩენილა ჩემს ცხოვრებაში ყველა დროებითი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ზოგნი ახლაც ჩემს გვერდით არიან ბავშვობის მეგობრებისაგან განსხვავებით. ტკბილ, თბილსა და სპერავ მოგონებას ჩემში ნია ქვია...

აცრემლებულ პატარას დედა ამშვიდებს; \_ ნუ ტირი გასაბერ ნავს გიყიდი.

არა,ჩემი ნია გასაბერ ნავს არ აჰეთდებდა თავის ოცნებებს! წინააღმდეგობებს არ შეუშინდებოდა და თავის სცენარში ყველას კუთნილ როლს მოგვარგებდა.

დღეს მე დავწერ ფინალს,  
რეჟისორობასაც მოვირგებ და ჩემი  
ცხოვრების სცენაზე მხოლოდ  
ღირსეულებს მოვიწვევ!

გმადლობ, პატარა ნია! ჩემი მეგობრის  
გაცოცხლებისთვის, ჩემი  
გამოფხიზლებისთვის!

ნიას გახსენებამ სიცოცხლე შემივსო და დიდი ხნის ნანატრი ბედნიერებით ამავსო, მივხდი, ვიგრძენი, რომ  
მინდა ბავშვობის უერთგულესი მეგობარი გვერდით მყავდეს. რეალობასთან შეუთანხმებლობას ოცნებისაკენ  
მივყავარ! ჰო, ისევ ფრთხები მინდა, სილადე მინდა, ნია მინდა!!!



ახლავე შეკუდგები ნიას მებნას.

რომ ვედარ ვიპოვო? ან ვერ მიცნოს?  
სხვანაირი რომ იყოს? რომ აღარ მოინდომოს  
ჩემთან მეგობრობა? არა! შეუძლებელია ჩემი ნია  
შეცვლილიყო! მისი სიკეთე გაუმდებდა წლებს,  
ყველას ეყოფა და დაუსრულებელ ნაკადად  
იდენს! სულის სინათლე არ იკარგება!

ნიხლი მიიპარება... შავ ზღვაზე ქათქათა ნავი  
მიაპოზს ტალღებს და თეთრ კვალს ტოვებს...



ორინა აბესაძე.

## როგორ დაემშვიდობა სინდისი რეზოს

შუადღე იდგა, მანაქნების განუწყვეტელი მოძრაობისგან გამოწვეულ მტკერის ბუღში გახვეულ ბუნებას  
სიმწრისგან სილამაზის თავიც აღარ ჰქონდა. სკოლიდან ახლად გამობრძანებულ რეზოს კი დიდი არაფერი  
სურვილი ჰქონდა, რომ ბუნებაში რაიმე სილამაზე მოეძებნა, თანაც რა უნდა ქალაქის შუა გულში ბუნებას.

ჰორიზონტს გახედა, და სულაც არ გასჩენია  
უსასრულობისა და მიუწვდომლობის განცდა,  
რადგან ჰორიზონტის მიღმა მისი სოფელი  
ქამელეონად გართხმული გადმოჰყურებდა შავ  
ზღვას, არც შავი ზღვა უმზერდა რეზოს და ხშირად  
საკუთარ თავსაც არ უმზერდა ხოლმე რევაზი,  
მაგრამ მას სულაც არ აინტერესებდა, ვინ უმზერდა  
და რა უმზერდა. მისთვის მთავარი ის იყო, რომ  
უმზერდა ლურჯ „მარლონოს“ ფირმის სიგარეტს  
სუპერმარკეტში და ეს სიგარეტიც რაც შეიძლება  
მაღლე უნდა „გამხდარიყო“ მისი საუცხოო  
ფილტვების მსხვერპლი, როგორც თვითონ  
ამბობდა.

დიდხანს ცქერამ და უნებისყოფობის  
სიმწარემ ჯიბეც კი გაახსენა, ახლა ჯიბეს ჩაუმშირა,  
ჯიბემ კი თითქოს გაკვირვებით ამოსძახა:



-რას მიყურებ, არ გამედო და დედაშენის მოცემული ორითდე ლარი არ გამოგლოვა პირიდან, რა, შენ გინდა ბოლო ლუკა ისევ გამომაცალო? არც იფიქრო, გაიხსენე რისთვის ჩამიდო ეს ლუკა დედაშენმა, ეს ფული ერთი კვირა უნდა იმყოფინო მჯზავრობისთვის...



მაგრამ ჭკვადამჯდარ ჯიბეს ვინდა უსმენდა, ჩვენმა საჩინო რევაზმა ისე გამოგლოვა პირიდან ეს ფული ჯიბეს, ვამს რომ გამოგლეჯენ პირიდან უგნურ ძროხას, არ დაიხრჩოს.

ახლა ფილტვიც აულაყბდა უფრო სწორედ აუსველდა ჩვენს რეზოს:

-კარგი რაა... ხომ ხედავ, რა დღეში ვარ, ძმურად მითხარი არ გეყო ამდენი ჩემი წამება?

მაგრამ რეზოს ამათ სასმენად სად ეცალა? იგი უფრო როკისა და „ჯაზის“ მოყვარული იყო.

თანაც მისი მშობლების ნაოფლარი ფული სულაც არ ჰყოფნიდა „მალბოროსათვის“ არც იაფი სიგარეტის გასაფუჭებელი ფილტვები ჰქონდა დონ რევაზს. მაგის მეტი საქმე არ ჰქონდა, ახლა რაღაც ორლარიანი სიგარეტი ჸყიდა და ქუჩაში იმით ებლატავა, ბოლოს და ბოლოს რას იტყოდნენ მისი თანაკლასელები. ბიჭი სირცხვილით დაიწვებოდა.

აქ უფრო სხვა გეგმა იყო საჭირო და ეს გეგმაც მრავალწლიანი გამოცდილების მქონე, სხვადასხვა გამოჩენილი კაიბიჭების ინფორმაციების შედეგად ჩამოყალიბებული პირდაპირგამართლებადი „მათხოვრობა“ გახლდათ, ბოდიშს ვიხდი „მომთხოვრობა“. ამ გეგმის თანახმად განმხორციელებელი უნდა მისულიყო თავის ნაცნობთან. არ ქონდა ამას მნიშვნელობა, ეს ნაცნობი კლასელი იქნებოდა, და, ძმა, მეგობარი, მასწავლებელი (რა თქმა უნდა თუ კაი „დვიუნიაში“ იყო მასთან) თუ საყვარელი და იმ მიზეზით, რომ საჭიროება მოითხოვდა მისთვის დაახლოებით 20 თეთრის დღენობის თანხა უდა მიეცათ.

ამ ოქროს გეგმის განხორციელების პროცესი დროს მოითხოვდა, აშიტომ ცოტა არ იყოს შემოაღამდა ჩვენს რეზოს, მაგრამ რაც მთავარი და უპირველესი იყო, -ლურჯი მალბორო ახლა უკვე მისია.

დაიმრა ჩვენი რევაზი სოფლის გზაზე, თან წვრილი სიგარეტის ღერო ისე მარჯვედ მოედერებინა ტუჩებში, რომ პირმა ქმუხად ახედა ცხვირს, და თითქოს „უმაყოფილებით ებუზღუნებოდა „რატომ არ შეწყვეტ სუნთქვას“ და ცხვირიც გამედულად უპასუხებდა „მე რომ შევწყვიტო ამ ფუნქციას შენ იკისრებო“. ქალაქს უკვე კარგა მოცილებული იყო, როცა გაახსენდა, რომ სიგარეტის ასანთქმად ასანთი იყო საჭირო. ახლა მეორე ჯიბეს ჩაუმშირა, მაგრამ მალევი შეემშვა რადგანაც ჯიბეს ტრამვა ჰქონდა მიღებული, (გახეული იყო).



-ვაიმე, ნეტა არავის ექნება?-თქვა გულში თავისთვის, ისე, რომ თვითონაც გაუკვირდა.

-ექნება-ექნება.- მოესმა უცცრად საიდანდაც

-ვაიმე! ეს რა იყო?- კიდევ ერთხელ წამოიყვირა და თვალები გააფაფიტა, მიხვდა რომ რაღაც მე იყო საქმე, მერე ნაალკოჰოლიკო გონება დაიმშვიდა. წინ დიდი გზა ჰქონდა გასავალი, და სულაც არ ეცალა რაღაც ხმებისთვის, მოიდო ყურებზე ყურსასმენები და გზას გაუდგა.

ცოტა რომ გაიარა, შუბლზე ტკივილი იგრძნო, თუმცა ყურადღება არ მიუქცევია, გადიოდა დრო, გადიოდა ფეხი ბილიკს, და ეს ტკივილი უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ადრე ამ ტკივილის ნიშნებიც კი არ ჰქონია, მერე შუბლს სრება დაუწყო, იქნებ გამიაროსო, მაგრამ ამაოდ, ეს ტკივილი სულ სხვა ტკივილი იყო...

ტკივილმა ისიც კი გაახსენა, რომ ვიღაცისაგან გაეგო - შუბლზე ძარღვი გადისო და უცემ გულში გაიფიქრა ნეტა ხომ არ გამიწყდაო და მეორე ისევ ირონიულად უპასუხა თავისი თავეს:

-რა გამიწყვეტდა? არსად შუბლი მე არ მიმირტყმია და კაი ხანია, არავისთვის მიჩხუბია, რა ჯანდაბას უნდა გაუწყვიტა? სისულელეა!

მის ირგვლივ ხანდეხან ყველაფერს სისულელის ელფერი ედებოდა. მხოლოდ ბუნება დაირცხვენდა ხოლმე.

ხანდეხან კი ცხოვრება უსაშველოდ ბედნიერი ხდებოდა, განსაკუთრებით კი მაშინ როცა მეშვიდე თუ მერვე ჭიქის დრო დგებოდა. მერე ყველაზე ახლოს სოდიანი წყლით სავსე ქილასთან მეგობრობდა და მისთვის ირგვლივ ისევ სისულელე ისადგურებდა.

„შუბლისტკივილსა“ და სულიერის ძებნაში, რომ იმ სულიერს მერე ასანთი მოექმნა, მისტერ რეზოს იმ მთავარი ძარღვის სახელის ძებნის სურვილი გაუჩნდა, რომელიც მის შუბლს აწუხებდა და ამით სულიერისთვაც ორი რადაცის ძებნის სურვილის გაჩენას ლამობდა.

მერე გაახსენდა, რომ ამ ძარღვის სახელი ს-ასოდან იწყებოდა და ტვინს დაუწყო ჭყლეტა.

-სინდისი მქია, ჩემო რევაზ, სინდისი! შენი სინდისი.-გაისმა ისევ ის უცნაური ხმა მოუსვლელიდან.

ჩვენი რეზო ისევ დაფეთიანდა.

-ვინ ხარ?! ვინ ოხერი ხარ? რა გინდა ჩემსგან?! ეშმაკი ხარ? იცოდე ჯვარი მკიდია არ გაბედო და რამე არ დამიშაო თორემ, რომ ჩაგვხობს ღმერთი მის მახვილს და რომ ჩაგასდრუზავს მაგ ბოროტ თავში, მაშინ ნახავ როგორ უნდა შემოპასუხება...



-რას უდგეხარ, ჩქარა გაუდექი გზას, სანამ სულ მოლად დაგდამებია! მე ყველან დაგყვები, სულ შენთან ვარ, გზა და გზა ვისაუბროთ ჩემს პრობლემაზე რომელიც სინამდვილეში შენი პრობლემაა, პრინციპში მე შენი ვარ, მაგრამ ამას ახლა მნიშვნელობა არ აქვს, აქედან დორზე მოიცვალე ფეხი, თორემ მხეცები ისე დაგვლეთენ, როგორც შენი აუნთებული სიგარეტიც კი ფლეთს მაგ შენს ფილტვებს. -დაუცაცხანა სინდისმა რეზოს.

რეზომ დიდად კი ვერ გაიგო ეს ყველაფერი, მაგრამ გზას მაინც გაეშურა. გონს უცებ მოეგო და ფიქრის უნარიც გაეღვიძა. ალბათ ეს ამბავი ამერიკის რომელიმე შტატში მცხოვრებს რომ მოსვლოდა, ხმამაღლა ყვირილს დაიწყებდა „არ მესმის! არ მესმის“ ან თავისთვის ჩურჩულს -„ყველაფერი კარგად იქნებაო“, მაგრამ აქ ასეთი სიტუაცია სულაც არ იყო. ნელ-ნელა ხვდებოდა, რაოდენს ავალებდა ქართველობა მას და მზად იყო ბოლომდე ესმინა სინდისისათვის.

-ეჰ ჩემო რევაზ, გაწყვეტაზე ვარ, ერთ მხარეს ჩვენი მფარველი ანგელოზი მექაჩება, მეორე მხარეს -ეშმაკი, მაგრამ ეშმაკი ვერაფერს დამაკლებდა, შენ რომ არ ეხმარებოდე. -მწუხარებით შესჩივლა სინდისმა.

-რას ბოდავ! ეშმაკს როგორ დავხმარები, გინდა ღვთის წინაშე დამნაშავედ გამომიყვანო?- გაუწყრა სინდისს ჩვენი პატიოსანი რეზო.

-იცი რამდენი რამე გაკლია?

-რამდენი?

-ბევრი, იმდენი, რომ სულ ცოტა ჩამოთვლაში გავწყდები.

-მაინც რა?-პასუხი ძალიან კარგად იცოდა მაგრამ ქართველი იყო.

-ეჰ, ეჰ, ამოიოხრა სინდისმა, მიუხედავად იმისა რომ კარგად იცოდა ეს ეჰ, ეჰ-ი საქმეს ვირ უშველიდა, როდის უშველა რო?...

-რას ამზომ ჩემო რეზო, განა ეშმაკს სულ არ უსმენ? განა ჩემზე უკეთ არ იცნობ ეშმაკის ხმას? ის როდი ჰგავს ჩემს ხმას, ის არავის ხმას არ ჰგავს ის ხომ არაფრით გააკუთხებინებს ყველაფერს... მე შენი სინდისი ვარ და ძალიან ცუდად ვარ, ლამის უნდა გავწყდე შუაზე, რადაც უნდა მიშველო-შესჩივლა სინდისმა.

პირდაღებული რეზო ერთ ადგილას გაშეშდა. აღარ იცოდა რა ეთქვა ან საერთოდ რა გაეკეთებინა. ადრე ასეთი ხმა არასოდეს გაეგო და ახლა გამტერებული იდგა.



-ერთადერთი ფული მაკლია, მაგასაც ვიშოვი, ერთი გავიზარდო, დანარჩენი რა მაკლია, სილამაზე არ მაქვს თუ სიმაღლე? ნათესავები მაკლია თუ რა მაკლია? რას ბურდლულებ, შენც არ იცი.

-წყალი გაკლია რეზო, ცივი წყალი დინჯად მიმართა სინდისმა რეზოს, რეზოს ულ გადაირია.

-რა?

-ხო, წყალი გაკლია რომ ერთი კარგად შეისხა მაგ მიძინებულ და ტალახიან სახეზე, რომ ერთი კარგად შეინჯდრე და ჩამოირცხო ეგ ტალახი.

-რა ტალახს ამზობ, რის ტალახი? პირი დღეს დილას დავიბანე, ვერ გავიგე რა გინდა?! რას გადამეკიდე-აღმფოთებას ვედარ მალავდა რეზო.

-და კიდე სიკარგის-სიკარგე, სირცხვილის-სირცხვილი, სიძულვილის-სიძულვილი, სინდისის-სინდისი, ხო, მეც გაკლივარ სიყვარულის-სიყვარულზე ხომ აღარაფერს ვამზობ, და კიდევ იცი რა გაკლია? სიგარეტის სიგარეტი გაკლია..

ასანთიც მაკლია-დასძინა რეზომ



-იცი რა არის სიგარეტის სიგარეტი?-შენი გონებაა, შენი გონება კი შენზეა დამოკიდებული, ამ თქმიდან გამოდის, რომ გონება გაკლია? არა არ დაიჯერო, შენ უფრო მოგონება გაკლია და ესეც მხოლოდ იმიტომ რომ არაფერი გაქვს მოსაგონები, და დღიუდან შენი გონება ანუ შენი სიგარეტის სიგარეტი თუ ისურვებს მოგონება გეჭენება და სულ ცოტა მე მომიგონებ, და როცა მე მოგაგონდები, სადაც შენი დაივვეხნო, იქ ჩემიც არ დაგავიწყდეს... -ასე დაემშვიდობა სინდისი რეზოს.

მას შემდეგ რეზოს სინდისის შეწუხება არ დასჭირვებია, ის ღამეც მეზობელთან გაათია იმ მიზნით, რომ მეორე დღეს მისი ოფლით ემოვნა ის ფული, რომელიც მას მთელი კვირის განმავლობაში სკოლაში მჯზავრობისთვის ესაჭიროებოდა, აღარც სიგარეტი ესაჭიროებოდა, ანდა რაღად უნდოდა მას ხომ „სიგარეტის სიგარეტი“ ჰქონდა.

ეს კიდე არაფერი, დიადი მიზნებისკენაც გაურბოდა თვალი და ახლა უკვე ჰორიზონტისკენაც, ახლა მას შვი ზღვაც უყურებდა და ყველა სულდგმულიც ბუნებასაც აღარ სწყინდა მისი და თავის ბუნებასაც, ეტყობოდა რომ სინდისიც კმაყოფილი იყო მისით და ნამუსიც.

ახლა საფიქრალი იყო ერთი.

როდის მივიდოდა მთელი ერის სინდისი გაწყვეტაშიდა, რომ როგორმე ეს ნაკლული ცივი წყალი, ჩვენც შეგვსხმოდა, რომ კი არ გამოვფხიზლებულიყავით, უფრო მეტი გამოვკეთებულიყავით და ჩამოგვრუცხოდა ის დიდი ტალახი, რასაც „სხვა როდის გვიშველის“, მოლოდინი ჰქვია....

გადის დრო, მიდის დრო, ვიცი რომ ესეც ყოფილა ჩვენს უწინარეს, მაგრამ ახლა მხოლოდ ერთზე ვფიქრობ და ვოცნებობ:

როდის იქცევა პატარა თბილი ფანტელი თბილ ზამთრად...

ნუკრი დუმბაძე.

ხიჭაურის წმინდა გრიგორ ხანძთელის სახ. სასულიერო გიმნაზია

ფერებით აღქმული სამყარო



ჩხაიძე მაია.  
ორთაბათუმის ს.ს 7 კლასი



სარიშვილი ლევა.  
ბათუმის № 11 ს.ს. 11 კლასი



ჩხაიძე მაია.  
ორთაბათუმის ს.ს 7 კლასი



საგინაძე თამაზ  
ვარნალის ს.ს 3 კლასი



ირაკლი აბულაძე.  
ბათუმის №11 ს.ს 6 კლასი



ხამაძე სალომე.  
ბათუმის №14 ს.ს.6 კლასი



სარიშვილი ლიკა.  
ბათუმის №11 ს.ს.11 კლასი



ირაკლი აბულაძე.  
ბათუმის №11 ს.ს. 6 კლასი



ირაკლი აბულაძე.  
ბათუმის №11 ს.ს. 6 კლასი



რესულან ხოზირეგანიძე.  
კვატრის ს.ს. 7 კლასი



## დაალაგე შინაარსის მიხედვით და დაწომრე წინადაღებები:

დედამყავილები ლარნაკში ჩააწყო.

იამ მიწდორში ყვავილები დაერიფა.

ბავშვები სასეირნოდ წავიდნენ.

გოგონამ თაგული დედას მიართეს.

გადახაზე ზედმეტი.



შემოხაზეთ ყველა პ და ყველა ი:

პ	ბ	ვ	გ	ი	ო	ხ	ჟ	ჲ	ჸ	ჵ
დ	ლ	ო	ბ	რ	ი	ხ	ჟ	ჲ	ჸ	ჵ

ჩასვი საჭირო ასოები:

სო  ოვი  იხო  ო

შეაერთე მარცვლები, შეადგინე სიტყვები:

ტორ	ლი
სარ	ტი
სახ	რი
წიგ	კე

შემოხაზე სიტყვები, რომელსმიც არის ორი ი და ორი შ:

თითი

მსშვი

თათი

მება

თონე

მოთი

შეაერთე ხაზებით შესაბამისი სიტყვები:

რას რითი აკუთხებენ?

კალმით	შლიან
საშლელით	წერენ
ნემსით	ვერავენ

გამოსახეასე:


ია თმა სოკო  
იი

შემოხაზეთ ხმოვნები.

ძ ს თ ი ვ ა ვ ი ნ ბ

გამოიცანი

სა  თი. სახ  ი. თა  ი.



+

რა ცხოვრობს ამ სახლში?



- ა) კატა
- ბ) ძაღლი
- გ) კურდღლი

გაზაფხულის მახარობელი ფრინველი:



- ა) არწივი
- ბ) ბუ
- გ) მერცხალი

შეავსე ცარიელი უჯრა.

5	+	4	=	
9	-		=	8
	-	3	=	4
5	+		=	5
3	-	3	=	



რამდენი ვაშლია სურათზე?

ა) 3



ბ) 5

გ) 4

გაზაფხულის მახარობელი მცენარე?



- ა) ია
- ბ) გვირილა
- გ) ვარდი

რა ფერი სჭარბობს ბუნებაში გაზაფხულზე?

- ა) ყვითელი
- ბ) ოქროსფერი
- გ) მწვანე
- დ) ლურჯი

## ვიდეო თამაშები და ბავშვები



ოცდამეტრთე საუკუნე ტექნოლოგიების განვითარების საუკუნეა. ამ საუკუნის ბავშვებს და თინერჯერებს ვერწარმოუდგენიათ სამყარო მობილური ტელეფონების, ინტერნეტის, ჩატების და ვიდეო თამაშების გარეშე. ახალგაზრდები კიორაში საშუალოდ 53 საათს ატარებენ მედიასა და ტექნოლოგიებთან ურთიერთობაში, ეს თაობა უფრო მეტ დროს ატარებს ეკრანებთან, ვიდრე სსვანების მიერ საქმიანობაში, სკოლის, ოჯახის, სპორტის და ძილის ჩათვლით.

განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმ გავლენებზე რასაც ახალი ტექნოლოგიები ახდენენ თანამედროვე ახალგაზრდობაზე და განსაკუთრებით ბავშვებზე. თუმცაუნდა აღინიშნოს, რომ უფროსი თაობის გან უფრო ხშირად ნებატიური განწყობა ფიქსირდება და ამ ნებატიური განწყობის ყველაზე დიდი წილი მაინც ვიდეო თამაშებზე ვრცელდება.

აღსანიშნავია, რომ იმის გათვალისწინებით, თუ რაჩანს ზედაპირულად, ბავშვები მომატებული აგრესიის მიზეზად ძირითადად ვიდეო თამაშები და მედია სახელდება. თუმცა ოფიციალური კვლევები მაინც დამაინც არ იზიარებენ ამ შეხედულებას.

როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, თუ რა კავშირშია ბავშვებში აგრესიის მატება და ვიდეო თამაშები, სასურველია, ჯერ განვიხილოთ, თუ რა ძალია და რეაქცია დაცვით ხდება მათი მოხმარება.

მშობლებს გააჩნიათ საკმაო შესაძლებლობები იძინა, რომ გააკონტროლონ მათი შვილების მიერ მედიასა და ტექნოლოგიებთან ურთიერთობა.



პირველი, რაც მშობლებმა უნდა გაითვალისწინონ არის ის, რომ იცოდნენ იმ თამაშის შინაარსი, რასაც მათი შვილი თამაშობს და დარწმუნდნენ, რომ ბავშვის განვითარების დონე შეესაბამება თამაშის სტუდიის რეკომენდირებულ ასაკს. ყველა თამაშის თან ასლავს ასაკობრივი შეზღუდვის მითითება, რომელიც მშობელს ეხმარება სწორად განსაზღვროს, მიზანშეწონილია თუ არა იგი მისი შვილის სტუდიისთვის.

და მეორე, მშობლებმა მონიტორინგი უნდა გაუწიოს, თუ რა ძალა დროს ხარჯავს მათი შვილი ვიდეო თამაშებზე და სხვა აქტივობებზე.


მშობლები პასუხისმგებლები არიან და ეხმარონ შვილებს წიგნების, სათამაშოების, სატელევიზიო პროგრამების და ფილმების შერჩევაში, რომელიც თითოეული ბავშვის თვის მესატყვისი იქნება.

გასართობი საშუალებები უნდა იყოს სახალისო, ამყოლი და ხელი შეუწყონ შემოქმედებითი ფანტაზიის განვითარებას. ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომარ იყვნენ ზედმეტად მაფრუსტრირებელი და არ შეიცავდნენ ბავშვის სტუდიის სურათებს ან ინფორმაციას, რადგან შიშის საფუძველზე ზოგ ბავშვს ეწყება შუოთვა და ღამის კოშმარები გასართობი საშუალებები არ უნდა შეიცავდეს ისეთ განზოგადებულ ინფორმაციას, რომელიც ბავშვს ისეთ შეკითხვებს გაუჩინს, რომელზეც პასუხის გაცემა მისი ასაკის სტუდიის და ემოციური მოწიფების დონის სტუდიის არარის რეკომენდირებული.



ჭველა ბავშვი განსხვავებულია და თითოეულ მათგანს განსაკუთრებული მიღებობა ხქირდება გასართობი სამუალებების გამოყენებისას. ზოგი ბავშვი უფრო მეტად არის მიღრუკილი გაიმეოროს ის ქმედებები, რაც დაინახა თამაში, ფილმი თუ რეალობაში, ზოგი კი ნაკლებად. ზოგი მათგანი მნელად ანსხვავებს ერთმანეთისგან რეალობასა და ფანტაზიას. ზოგი შესაძლოა საკუთარი იმპულსების კონტროლის ნაკლებობით ხასიათდებოდეს და ამის გამო ზედმეტად ჩაერთოს ძალადობრივ სცენებში. მეორეს მხრივ, არსებობენ ბავშები, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო ახასიათებთ ემოციური აშლილობა, ასეთი ბავშვები შესაძლოა უფრო მოწყვლადნი იყვნენ ძალადობრივი სცენების მიმართ მშობლები კარგად უნდა იცნობდნენ ბავშვებს და მათი ხასიათიდან გამომდინარე შეუწიონ თუ სათამაშები.

გასართობი სამუალებები განსხვავდება თავისი შინაარსის მიხედვით. ზოგი შესაძლოა იყოს შემეცნებითი, ზოგი კი უბრალოდ გასართობი. ბავშვთა ფსიქოლოგები თანამდებინ იმაზე, რომ ზოგ ფანტაზიაზე დაფუძნებულ თამაშს შეუძლია განავითაროს ბავშვის კოგნიტური უნარები, როგორიცაა მაგალითად დაგეგმვის უნარი, თამაშები ასევე კარგად ანვითარებს კოორდინაციის უნარებს.



ასე რომ გასართობი სამუალებები, რომელიც შესაძლოა უარყოფითი გავლენის მქონედ ითვლებოდეს, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ სწორად მოსმარების შემთხვევაში ბავშვისთვის სასიკეთო გამოვდგის.

სასურველია, მშობლებმა თვითონაც ითამაშონ ბავშვებთან ერთად და ესაუბრონ იმაზე თუ რას ფიქრობენ ბავშები ამთამაშებ, გაიზიარონ მათი განცდები, გრძნობები, აღქმები და ჩართულნი იყვნენ ყველაფერ იმაში, რაც მათი შვილის განვითარებაზე გავლენას ახდენს.

ფსიქოლოგი: სალომე მაჩიტიძე

## როცა ბავშვს არ აქვს სწავლის მოტივაცია - მიზეზები და დაგენერაცია? და რა განვითარება გავლენას ახდენს?

### და მშობლის 10 შეცდომა რა გვიანდით 10 გაუგრძელოთ?

ბევრი მშობელი, რომელსაც სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვი ჰყავს, ეჯახება პრობლემას, რომელსაც სწავლის მიმართ მოტივაციის არარსებობა ჰქვია. თანამედროვე პედაგოგიკის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა - სწავლის მიმართ ინტერესის არარსებობაა. მოდით, ერთად გავერკვეთ, თუ რატომ ხდება ასე და ვინ არის ამაში დამნაშავე.

სწავლის მოტივაცია დაპროგრამებული გვაქვს ბუნებიდან: თუ მოსწავლემ კარგად მოინდობა, ისწავლა და მოსალოდნელი ქება არ მიიღო მშობლისა თუ მასწავლებლისგან, მაშინ უკეთესად სწავლის ყველანაირი სურვილი ეკარგება, და ეს ლოგიკურიცაა.

### შობლის შეცდომა №1

შმობელით თვლის, რომ მისი შვილი მზად არის სკოლაში წასასვლელად იმიტომ, რომ მან ბევრი რამ იცის თავის ასაკთან შედარებით. მაგრამ ინტელექტუალური მზადყოფნა - ეს არ არის სინონიმი ფსიქოლოგიური მზადყოფნისა. ბავშვი კი არ ექვემდებარება გარკვეულ წესებს, არამედ აკეთებს იმას, რაც მას სურს. აქ აუცილებელია განუვითაროთ ბავშვს უნარი - სძლიოს საკუთარ თავს. ვასწავლოთ პატარას არა შოლოდ იმის კეთება, რაც მას უნდა, არამედ იმისაც, რაც აუცილებელია.

### შობლის შეცდომა №2

ბავშვი ადრე მიჰყავთ სკოლაში. არ შეიძლება ბავშვის სკოლაში მიყვანა მის ბიოლოგიურ ჩამოყალიბებამდე (ძვლების და კბილების სრულფასოვნად ჩამოყალიბებამდე). ბიოლოგიურად ჩამოუყალიბებელი ბავშვი უმჯობესია ავარიდოთ სკოლას იქამდე, ვიდრე მას ბოლომდე არ განუვითარდება ხელი და მისი ფორმა. ამის შემოწმება შემდეგნაირად შეიძლება: ვთხოვთ ბავშვს დასვას წერტილები უჯრიან რვეულში. ნორმის ფარგლებში ბავშვი წუთში 70 წერტილს სვამს. თუ ამ შედეგზე დაბალ მაჩვენებელს მივიღებთ, უნდა ვიცოდეთ, რომ ბავშვის ხელი ჯერაც არ გაძვალებულა. რაც შეეხება კბილებს, ბავშვს სკოლაში მიყვანამდე უნდა ჰქონდეს გამოცვლილი ოთხი წინა კბილი, ასევე ორი ზედა და ორი ქვედა კბილი. თუ ბავშვი ბიოლოგიურ ჩამოყალიბებამდე მიჰყავთ სკოლაში, ის მალე იღლება და მინიმალური დატვირთვაც სკოლისადმი უინტერესო და ცუდ ასოციაციას უქმნის.

### შეცდომა №3.

როცა ბავშვი არ დადის საბავშვო ბალში. თანატოლებთან კონტაქტის არქონა იწვევს თვითნებური ქცევების გაიმტიათებას, როდესაც ბავშვი იძულებულია ეთამაშოს სხვებს, დაემორჩილოს წესებს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მას ეს არ სურს, გაითვალისწინოს სხვისი აზრი და იცხოვოს კოლექტივში.

### შეცდომა №4.

პრობლემები ოჯახში: თუ ბავშვი შეგუებული და შეჩვეულია დიდ ემოციურ სტრესს თავის ოჯახში, როგორც წესი, მას აღარ აინტერესებს სწავლა და აღარ ფიქრობს კარგ ნიშნებზე, უბრალოდ აღარ ჰყოფნის ამისთვის ენერგია.

### შეცდომა №5.


როცა ბავშვის დღის რეჟიმი არ არის სწორად დაგვეგმილი, არ არის ორგანიზებული მისი ყოველდღიურობა. მას ბევრი თავისუფალი დრო აქვს და არარეჟიმულად ცხოვრობს. ბავშვები, რომლებიც სკოლის გარდა დაკაფებულები არიან სხვადასხვა წრეზე მათთვის საინტერესო საქმიანობით, მიუხედავად დატვირთვისა, უფრო მოტივირებულები არიან სასწავლო პროცესის მიმართ.

**შეცდომა №6**


როდესაც ბავშვისთვის არ არსებობს ერთი ავტორიტეტი და ერთი საერთო სიტყვა და მოთხოვნა. მშობელი ერთს ეტყვის, თუმცა ყოველთვის გამოძვრება ბებიასთან და ბაბუასთან ჩივილით.

**შეცდომა №8.**


გადამეტებული მოთხოვნები ობიექტური შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე (მათ შორის, სიზარმაცის, სომატური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის, გონებრივი განვითარების თავისებურების და სხვ.)

**შეცდომა №7.**

აღზრდის არასწორი მეთოდები: პიროვნების დაკნინება, ფიზიკური დასჯა, მუქარა, ან პირიქით: ზომაზე მეტად გათამამება, მეტისმეტი მეურვეობა.

**შეცდომა №9.**

მოტივაციის „ჩაკვლა“, სწავლის პროცესის დროს დაცინვა, სწავლაში წარმატებულ ბავშვებთან შედარება და სხვა. ეს მშობლის ყველაზე გავრცელებული შეცდომაა.

**შეცდომა №10.**

მშობლებს ჰგონიათ, რომ შვილებმა უნდა გაითვალისწინონ მათი ინტერესები და ზოგჯერ ვერც უმვებენ იმას, რომ ბავშვებს არც კი აინტერესებთ, რა გატაცებები ჰქონდათ მათ მშობლებს პატარაობაში. თუ მშობელმა ვერ მოახდინა საკუთარი თავის რეალიზება და ამას მოითხოვს საკუთარი შვილისგან, ეს არასწორი და დაუშვებელია.



## რელიგიური თემები

### ათი მცნების განმარტება

**მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი  
ჩემსა გარეშე.**

პირველი მცნებით ღმერთი გვიმრმანებს, ვიცნოთ და ჰატვი ვცეთ მას, გვწამდეს ღმერთი, იმედი გვქონდეს მისი, გვიყვარდეს იყი და გვმორჩილებოდეთ მის ნუბას, თაყვანი ვსცეთ მას, ვადიდოთ იყი, ვმადლომდეთ მას, ყოველი კაცის წინაშე დღვიაროთ იყი ჩვენს ღმერთად და არ უარვეოთ იყი.

გულშოდგინედ ვისძინოთ სიტყვა ღვთისა ვლესიაში, ვიკითხოთ საღვთო წერილი და წმიდა მამათა ნაწერები. პირველი მცნების წინაღმდეგი ცოდვები:

1. უღმერთოება, როდესაც უგუნურნი იტყვიან: არა არს ღმერთი;
2. მრავალღმერთიანობა, როდესაც აღიარებენ მრავალ ცრუ ღმერთს; 3. ურწმუნოება; 4. შრვალებლობა; 5. განდგომილება; 6. სასოწარვეთილება; 7. მკითხაობა და ცრუმორწმუნება.

**არა ჰქონეთ თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე  
მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს  
ქვეყანასა ზედა ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა  
ქვეშე ქვეყანისა: არა თაყვანისცე მათ, არცა  
მსაბურებდე მათ.**

ღმერთი ამ მცნებით გვიკრძალავს:  
კერპთა თაყვანისცემას.

კერპი არის ცრუ ღმერთების გამოხატულება.  
მეორე მცნება არ გვიკრძალავს ხატის თაყვანისცემას, ვინაიდან  
ხატი არის გამოხატულება ქეშმარიტი ღვთისა და მისი  
წმინდანებისა. და, როცა ჩვენ ხატს თაყვანსა ვსცემთ, გონების  
თვალით უნდა მივხედოთ ღმერთს და იმ წმინდანებს,  
რომელნიც ხატზე არიან გამოხატულნი.



## არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა.

ღმერთი ამ მცნებით გვიკრძალავს ღვთის სახელის ცუდად ხსენებას, ღვთის სახელი უნდა ვასხენოთ: ლოცვაში, საღვთო სწავლაში და ფიცის მიღების დროს.

ეს მცნება გვიკრძალავს: ღვთის გმობას, ღმეტზე საყვედურს, ქირდვას, როცა საღმრთო საგნებს გახდიან სახუმაროდ ან საგინებლად, უყურადღებობას ლოცვისადმი, ცრუ ფიცს, ფიცის დარღვევას, ღვთისადმი მიცემული აღთქმის დარღვევას და უბრალო დაფიცებას.

## არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა.

ღმერთი ამ მცნებით გვიკრძალავს ღვთის სახელის ცუდად ხსენებას, ღვთის სახელი უნდა ვასხენოთ: ლოცვაში, საღვთო სწავლაში და ფიცის მიღების დროს.

ეს მცნება გვიკრძალავს: ღვთის გმობას, ღმეტზე საყვედურს, ქირდვას, როცა საღმრთო საგნებს გახდიან სახუმაროდ ან საგინებლად, უყურადღებობას ლოცვისადმი, ცრუ ფიცს, ფიცის დარღვევას, ღვთისადმი მიცემული აღთქმის დარღვევას და უბრალო დაფიცებას.

## არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა.

ღმერთი ამ მცნებით გვიკრძალავს ღვთის სახელის ცუდად ხსენებას ღვთის სახელი უნდა ვასხენოთ: ლოცვაში, საღვთო სწავლაში და ფიცის მიღების დროს.

ეს მცნება გვიკრძალავს: ღვთის გმობას, ღმეტზე საყვედურს, ქირდვას, როცა საღმრთო საგნებს.

განდიან სახუმაროდ ან საგინებლად, უყურადღებობას ლოცვისადმი, ცრუ ფიცს, ფიცის დარღვევას, ღვთისადმი მიცემული აღთქმის დარღვევას და უბრალო დაფიცებას.



**მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა-ჰესია იგი: ექს დღე იქმოდე, და ჰემნე მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე შაბათი არს უფლისა ღვთისა შენისა.**

ღმერთი ამ მცნებით გვიკრძალებს: ექს დღეს მუშაობას, ხოლო მეშვიდე დღის ღვთისათვის შეწირვას, ქრისტიანები ვდღესასწაულობთ კვირას და ავრეთვე სხვა დღეებს, რომლებიც დადგენილია სადიდებლად უფლისა ისეთ ქრისტეს, ღვთისმშობლისა და წმინდანებისა. კვირას და სხვა დღესასწაულების დროს უნდა ვესწრებოდეთ ღვთის მსახურებას ვკლესიაში, მომეტებულად ვლოცულობდეთ შინ, ვკითხულობდეთ საღვთო წერილს, უნდა შევსწიროთ რაიმე ტაძრის სასარგებლოდ, აღმოვუჩინოთ შემწეობა ღარიბთა, ვნახოთ ავადმყოფნი, საპყრობილები მყოფნი და სხვ.

რომელნიც დღესასწაულებში გაერთობიან უწესო თამაშობით და უზომო სისკამით, არღვენ დღესასწაულის სიწმინდეს.

გარდა დღესასწაულებისა ვსწირავთ ღმერთს მარხვის დღეებს.

**პატივუც მამასა შენსა და დედასა შენსა,  
რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო  
ქვეყანასა ზედა.**

ამ მცნებით ღმერთი გვიმრმანებს მშობელთა  
პატივისცემას და მათ მორჩილებას.

1. მათთვის უნდა გვევდროთ ღმერთს; 2. უნდა  
ფასმარებოდეთ მათ შეომსა და საჭიროების დროს; 3.  
უნდა გასაზრდოოთ და მოვასევონთ ისინი ავადმყოფობისა  
და მოხუცებულობის დროს; 4. სისწორით ავასრულოთ  
მათი ანდრიძი, თუ ის ღვთის სჯულისა და სამოქალაქო  
კანონის წინააღმდეგი არ არის.  
შეობლების გარდა ჩვენ უნდა ცეკო ჰატივი ხელმწიფეს,  
სულიერ მწერისთა და მასწავლებელთა, აღმზრდელთა და  
კუთილისმყოფელთა და ხნით უხუცესთა.  
საღვთო წერილი ხელმწიფის პატივისცემაზე  
გვახსავლის:  
ღვთის გემინოდენ, შვილო, და შეფია, და წურცა ქრისა  
მათგანსა წინ ალუდავჩერ;. „მუკით კეირისა კისარსა და  
ღვთისა ღმერთსა.“

### არ იმრუშო.

ეს მცნება გვიკრმალავს:  
მოუშობას, ანუ ყოველგვარ უზიგო და უსმინდურ  
ხორციელ სიყვარულს.  
ამ ცოდვაში რომ არ ჩავეარდეთ, უნდა განვემოროთ  
ყოფელსავე, რასაც შეუძლოა აღძრას ჩვენს გულში  
უსმინდური გრძნობა და რაც შეაცდეს კაცს, სახელდომრ,  
ნაყროვანებას და მთვრალობას, ცუდ სიტყვებს, ურცხვ  
სიძლერას, ცეკვას, თამაშია და ხუმრობას.  
ეს მცნება გვიმრმანებს: ცოლაქმართა ერთმანეთის  
სიყვარულისა და ერთგულების, ხოდო უქორწინებელთა -  
სიწმინდესა და უმანვოებას.

### არ იპარო.

მეექვსე მცნება გვიკრმალავს მცვლელობას.

კველა მცვლელობა სჯულის წინააღმდეგი არაა.  
სახელდობა, როცა დამნაშველს სჯიან სიკვდილით  
მართლმსაჯულებისამებრ და როცა მტერს ჰკლავნ  
ომში.

სჯულის დამრღვველი მცვლელობა, როცა მსაჯული  
სიკვდილით დასჯის მრალდებულს, რომლის  
უბრალობა მან იცის; როცა მალავენ, ან  
ათავისუფლებენ მცვლელს და მით აძლევენ  
საჭუალებას, რომ ახალი მცვლელობა ჩაიდინოს; როცა  
არ იხსნიათ ახლობელს ან მოყვასს სიკვდილისაგან,  
თუკი შეუძლიათ გამოხსნა.

მეექვსე მცნება გვიკრმალავს: თვითმცვლელობას;  
განრისხებას, სიძულვილს, შურს, გულფიცხობას,  
შეოთხა და ჩხუბს.

ჩვენ ეს მცნება გვიმრმანებს: დავიცვათ სიცოცხლე და  
კეთილდღეობა მოყვასისა და თავისა თვისისა,  
შევეწიოთ ღარიბს, მოვუაროთ ავადმყოფს, ვანუგემოთ  
მწუხარე.



### არ იპარო.

ამ მცნებით აკრძალულია შემდეგი ცოდვები:

ჭურდობა, ანუ ფარისულად სხვისი ნივთის მითვისება, გამარცვა, ანუ მალით სხვისი ნივთის  
წართმევა; მოტყუება, ანუ ცბიერებით სხვისი საკუთრების მითვისება; მკრხელობა, ანუ მითვისება  
იმისა, რაც ღვთისათვის შეწირულია, ანუ ეკლესიას ეკუთვნის; მექრთამეობა და მუქთამჭამელობა,  
როცა საქმისათვის გასამრჯელოს იღებნ და საქმეს არ აკეთებენ, ანდა შეუძლიათ მუშაობა და არ  
შეუძლებენ და მოწყალებით ცხოვრობენ; ანგარება, როცა ავიწროებენ მოყვასს (სხვა კაცს),  
სარგებლობენ მისი გაჭირვებით, მაგალითად, იღებნ დიდ სარგებელს.

## არა ცილი-სწამო მოყვასისა შენსა წამებითა ცრუითა.

ამ მცნებით აკრძალულია შემდეგი  
ცოდვები:

ცრუ მოწამეობა სასამართლოში;  
ცილი-სწამება, ესე იგი სიცრუით  
საჩივარი და ყოველივე სიცრუე.  
ეს მცნება გვასწავლის: ყოველთვის  
უნდა ვამზობდეთ სიმართლეს.  
მეათე მცნება

არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა  
შენისა, არა გული გითქმიდეს სახლისათვის  
მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა  
გარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა  
მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყენეს  
მოყვასისა შენისა.

ეს მცნება გვიკრძალავს: არა თუ ცუდ საქმეს, არამედ ცუდ  
სურვილსაც და ცუდ ფიქრსაც, რომ ცუდმა ფიქრმა და  
სურვილმა არ მიგვიყვანოს ცუდ საქმემდე.

ამ მცნების წინააღმდეგი ცოდვაა შური.

ეს მცნება გვასწავლის: რომ გვიყვარდეს სხვა, როგორც  
საკუთარი თავი, და გვინდოდეს სხვისთვის ყოველივე  
კარგი; კმაყოფილი ვიყოთ მით, რაც გვაჟეს, და დავიცვათ  
გული წმინდად.

წყარო: [www.intermedia.ge](http://www.intermedia.ge)

## აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული

აღდგომა — უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული, რომელიც აღინიშნება ახალი  
სტილით 4 აპრილსა და 8 მაისს შორის ქრისტეს მკვდრეთით აღდგომასთან დაკა-  
ვშირებით. აღდგომას უძღვის 40-დღიანი მარხვა, საეკლესიო სამზადისი, აღს-  
არება და ზიარება, ვწების კვირა. ესაა ზემოთა ზემო, აღმნიშვნელი მესიის მოვლ-  
ინებისა, რაზედაც მოსეს ხალხი ეგვიპტის მონობიდან თავის დაღწევის შემდეგ ოცნ-  
ებობდა, რასაც ბიბლიური წინასწარმეტყველნი ქადაგებდნენ და რაც სინედრიონის  
ნებით ჯვარცმული ქრისტეს სახით განხორციელდა.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს წინ უძლოდა ვნების კვირა. შვიდთვე დღე გამოირჩევა  
თავისი მნიშვნელობით:

**დიდი ორშაბათი** — როცა იქსომ დაწყევლა უნაყოფო ღეღვი;

**დიდი სამშაბათი** — როცა იქსომ ტაძარში ახალი მოძღვრება იქადაგა;

**დიდი ოთხშაბათი** — როცა მოწაფეებმა იქსომ სერობა მოუწყვეს;

**დიდი ხუთშაბათი** — როცა იქსომ თვითონ გაუმართა მოციქულებს  
სერობა, ამხილა იუდა და დაადგინა ზიარების საიდუმლო;

**დიდი პარასკევი** — როცა იქსომ აწამეს და ჯვარს აცვეს;

**დიდი შაბათი** — როცა იქსომ დაკრძალეს.

## წითელი კვერცხი

არის გადმოცემა, რომ ამაღლებამდე იქსო ქრისტემ თავისი შოწაფეები სხვადასხვა ადგილებში დაგზავნა, რათა ადამიანებისთვის მიხი აღდგომის შესახებ ეხარებინათ. საქადაგებლად გაეშურა მარიამ მაგდალინი, რომლისგვარაც მაცხოვარში შვიდი ემშვი განდევნა და რომელმაც ლვისმშობლის შემდეგ პირველმა იხილა შვედრეთით აღმდგარი უფალი. წმიდა მარიამი რომში ჩავიდა და პირდაპირ იმპერატორის სახახლეს მიაშურა. იყი ცნობილი მიროვნება იყო და ამიტომ დაუბრკოლებდა და გატარეს სასახლეში. მან იმპერატორ ტიბერიუსს საჩუქრად კვერცხი გაუწოდა და ახარა: „ქრისტე აღსდგვა!“. იმპერატორმა ქალს ეჭვით შეხედა და წამოიძახა: „როგორ მეუძღვო მკვდარს აღმდგარიყო? ეს ისევე დაუჯერებელია, როგორც ის, რომ ახლა ეს კვერცხი გაწითლდეს“. სიტყვები ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული, რომ კვერცხი მართლაც გაწითლდა. ამ დღიდან მოყოლებული ქრისტიანები წითელი კვერცხებით ეგებებიან აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.



საერთოდ, კვერცხი მართიული სიცოცხლის სიმბოლოა. რადგან მისგან ცოცხალი არსება იბადება, იქნო ქრისტემ ვი სიცოცხლე მოვგანიჭა. წითელ ფერში სისხლი მოიაზრება, რადგან იქნო ქრისტემ თავისი სისხლით სიცოცხლე გაწიმიდა და აკურთხა.

## სააღდგომო სამზადისი

აღდგომის წინ ყველაზე დიდი და მძიმე მართვა უსწირებს. დღესასწაულის შესახვედრად მოწმუნები სულიერად ემზადებათ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ბოლო კვირის ენიჭება. აღდგომამდე ერთი კვირით ადრე ბზობა – ანუ ქრისტეს იერუსალიმში დიდებით შექმნანება იწეომება. ორშაბათიდან კი ვწების კვირეული იღებს სათავეს.

ვწების კვირეულში თითოეული დღე გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია. განსაკუთრებით გამოყოფენ ხუთმამათს – საიდუმლო სერობის დღეს, როდესაც მაცხოვარი ზარების საიდუმლოს აწესებს და წითელ პარასკევს – ქრისტე ჯავარცმის დღეს. ეს ყველაზე მძიმე დღეა თითოეული ქრისტიანისათვის. პარასკეობით წითლად ღებავენ კვერცხებს. რაც მაცხოვრის მიერ ჩვენთვის დალვრილი სისხლის სიმნილოა. ვწების კვირეულის მძიმე დღეების დაგვირგვინებად კვირა – მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული იქცევა. დღე რომელიც წებისმიერი მოწმუნესათვის უდიდესი სიხარულის მომტანია.

მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომა




რუბრიკა, იცით თუ არა, რომ...?


კულტურულ  
უწანისება  
ეროვნული გარეშე  
ძებულოვა




მუსიკა  
უწანისება  
ხელოვანობა



კულტურული  
სამეცნიერო  
სამუშაო თავს  
უნდა



ახალქალალი ერთგული  
თავისუფლად დაუცემა  
ჩას კოჭიშე



ფინანს  
შავი ენა  
ცენტ

ნიკი  
უწანისება  
გამჭვივ  
სოფიტი  
640  
სუსუმანი



თვალი ეყვა  
დამოუკიდება 45%-ით  
მისა  
მამა სანცერტოს  
დისკონტექსტში

დანის ციხემიდან უკიდვა კაროლისაწინაღმდეგო ქმედებად არ თვლება  
ადამიანს თავზე თმა წლის განმავლობაში 15 სმ-ით ეზრდება.



დედამიწაზე ყოველდღიურად 27 ტონა კოსმიკური მიწვერი ფხოვა.



მსოფლიოს კველაზე დაბიტმურებული მდინარეა რაინი.

ქათომის ყველაზე ხანგრძლებული ღრუება გატვრდელდა 13 წარს.

დედამიწაზე მცხოვრები ცოცხალი თოვანიზმების 70%-ს  
ზაქტერიუმები შეადგენენ..

ჰევიური ენის ანბანში მხოლოდ 12 ასოა: a, e, i, o, u, h, k, l, m, n, p და w.

ციფრი “0” გამოიყონეს ინდოეთში მეხუთე საუკუნეში,  
მაშინ როდესაც ეპროპაში რომაული ციფრები  
გამოიყენებოდა და ძალაში უმელდებოდა ანგარიში.

Կ ըսլու ըս 1 լուն  
ուշեցի յարանուուն

ამერიკული დაშვებულია მოხამართლეები გამოიძახოს ძალული როგორც მოწმე.

ଏହାରୁଙ୍କ ଜୀବିତରେ ପ୍ରାଣିମାନିକ ମୋହା ଦ୍ୱାରା ପ୍ରାଣିତ୍ୟାଳୀର ଫ୍ରେଣ୍ଡିସ ଅନ୍ତର୍ଭବସ୍ଥାନ ଘଟିଛି।

სპილენ ერთადეკრძალ ცხოველია რომელსაც 4 მუხლი აქვს..

# მხატვრული სიტყვის დიდოსტატები



## იაკობ გოგებაშვილი (1840-1912)

(სოფრინი ცნობები)

იაკობ გოგებაშვილი დაიბადა სოფელ ვარიანში (ახლანდელი გორის რაიონი). სწავლობდა გორის სასულიერო სასწავლებელში, შეძეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში (1855-61). სწავლა განაგრძო კიევის სასულიერო აკადემიაში. აკადემიაში სწავლის დროს გაეცნო მსოფლიოს გამოჩენილ მოაზროვნეთა (ლოკის, რუსის, ფონტის, ჰუმბოლტის, სპენსერის, სლოსერის, კომენსკის, პეტრალოცის და სხვ.) თხზულებებს, რომლებმაც დიდი ცოდნა შესძინეს. სუსტი ჯანმრთელობის გამო აკადემიის სრული კურსი ვერ დასრულა და 1862 წ. საქართველოში დაბრუნდა. 1863-75 წ.წ. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, იღაშქრებდა მოსწავლეთა ფიზიკური დასჯისა და სემინარიის მკაცრი რეკიმის წინააღმდეგ, მოითხოვდა ბავშვთა ინიციატივისა და თვითმოქმედების წახალისებას, რისთვისაც აუკრძალუს პედაგოგიური საქმიანობა და დაითხოვეს სამსახურიდან. ამის მიუხედავად უკან არ დაუხევია, მხარში ამოუდგა ი.ჭავჭავაძეს და აქტიურად ჩაეხა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მონაწილეობდა ი.მამაცაშვილის ლიტერატურულ სალონში, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებას, იყო ამ საზოგადოების გამტკიცების აქტიური წევრი (1879 წლიდან). მისი მონაწილეობით შედგა საზოგადოების პროგრამა ხალხური შემოქმედების შეგროვებისათვის და პროექტები საქართველოს სხვადასხვა რაიონში სახალხო სკოლებისა და ბიბილიოთების გახსნისა.

ი. გოგებაშვილი აქტიურად თანამშრომლობდა თბილისის ქართულ-რუსულ პრესაში. ბეჭდავდა წერილებს სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხებზე განსაკუთრებით „ივერიაში“, „დროებაში“, „ჯეგილში“, „ნობათში“, „ტიფლისსკი ვესტნიკში“, „ნოვოე ობოზრენიები“.

კუთვნის 130-ზე მეტი საბავშვო ორიგინალური და გადმოკეთებული მოთხოვბა. მათ შორის „იავნანამ რა ჰქმნა?“, „ერევლე მეფე და ინგილო ქალი“, „თავდადებული ქართველნი“, „სხივი ჩვენი წარსულისა“. ი.გოგებაშვილის საბავშვო თხზულებების მირითადი თემებია პატრიოტიზმი, ბუნების მოვლენები. 1865 წ. გამოვიდა ი. გოგებაშვილის „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“, „შეძეგ - ბუნების კარი“ (1868), „დარიგება მოსწავლეთათვის, თუ როგორ უნდა წაიყვანოს სწავლება წერა-კითხვისა ქართულ ანბანში“ (1872), „დედა ენა“ (1876), „რუსსკოე სლოვო“ (1887). 1880 წლიდან იმბეჭდება მისი ბავშვთა საკითხავი წიგნები: „კოკორი“, „კუნწულა“, „ხომლი“, „აკიდო“, „მოსავლის მცველი“. მის კალამს

ი. გოგებაშვილი ავტორია მრავალი პედაგოგიური შრომისა. სწავლების ქვაკუთხედად მშობლიურ ენას მიიჩნევდა. სიკვდილის წინ მთელი თავისი ქონება და ბიბლიოთეკა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა.

1912 წლის პირველ ივნისს ი.გოგებაშვილი გარდაიცვალა. მისი ცხედარი დაასაფლავეს დიდუბის პანთონში, 1912 წლის 10 ივნისს.

1940 წ. დაბადებიდან 100 წლის თავზე მისი ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდის პანთონში გადასვენეს.

**დაბ. თარიღი 27 ოქტომბერი, 1840**

**დაბ. ადგილი** სოფ. ვარიანი, ახლანდელი გორის რაიონი

**გარდ. თარიღი 14 ოქტომბერი, 1912**

**გარდ. ადგილი** თბილისი

**საქმიანობა** პედაგოგი, სამავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე

**ეროვნება** ქართველი

## ილია ჭავჭავაძე

1837 – 1907

## ბიოგრაფია



იდი ქართველი მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს 1861–1907 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. დაიბადა გარარიბებული თავადის ოჯახში. 1848 წლიდან სწავლობდა თბილისის კერძო პანსიონში; 1852 წლიდან – თბილისის გიმნაზიაში, 1857–1861 წლებში კი ჰელიურბუზგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლები მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, როგორც პიროვნებისა და მოქალაქის მომზადებისა და მწერლის ფორმირების სრულყოფისათვის. ამ წლებშივე დაიწერა ი. ჭავჭავაძის ძლიერი მხატვრული ნაწარმოებები, რომელთაც აღმავალი ეტაპი შექმნეს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საერთოდ ქართული მხატვრული აზროვნების ისტორიაში: პოემა "აჩრდილი" (1859 წ.), რომელიც უძრავავს ეროვნულ და სოციალურ პრობლემებზე ღრმა დაფიქტურის ნაყოფია და ნათელი მერმისის რწმენით არის გამსჭვალული; "ქართვლის დედა" (1860 წ.), "ვაკო ყაჩაღი", "მუშა", "ელეგია" და სხვ. ამავე პერიოდს ეხება მისი მხატვრული პროზის შესანიშნავი ნიმუშები, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს ქართული კრიტიკული რეალიზმის განვითარებაში.

ი. ჭავჭავაძის რესეტიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ დიდი განცდა და მღელვარება აისახა მის ნაწარმოებებში. კერძოდ, "მგზავრის წერილებში", რომელიც არა მარტო ავტორის ან "თერგდალეულების" მიზნებსა და ამოცანებს, არამედ მთელი ქართველი ხალხის სახიცოცხლო მოთხოვნილებებს, საზოგადოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უწმინდეს იდეალებს გამოხატავს. 1863 წელს ი. ჭავჭავაძის მიერ დაარსებული ფურნალი "საქართველოს მოამბე", მთებედავად უმძიმესი საცემზურო პირობებისა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჭეშმარიტ მედროშედ იქცა. საქართველოში დამკვიდრებული ი. ჭავჭავაძე აქტიურად ჩაება ფართო პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საქმიანობაში და უდიდეს ფინანსურ დახმარებას უწევდა მას. 70-90-იან წლებში დაიწყო ი. ჭავჭავაძის მრავალრიცხოვანი ნაშრომებისა და წერილების გამოქვეყნება, რომლებმაც კლინიდებოდა მისი ძლიერი ინტელექტი, ფაქტებისა და მოვლენების იშვიათი აღმისა და გაანალიზების უნარი. მის პუბლიცისტურ შემოქმედებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში დიდი ადგილი დაეთმო სახალხო განათლებისა და მოზარდი თაობის აღზრდის სავითხებს, რომლებმაც დიდი როლი შეასრულა ქართული პედაგოგიკური მეცნიერებისა და ქართული სახალხო ეროვნული სკოლის ჩამოყალიბების საქმეში. ი. ჭავჭავაძეს ერთქალური დამსახურება მიუმღვის ქართველი ერის წინაშე, იგი იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნული მოღვაწე და ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი და წინამძღვრი.

დაბადების თარიღი 8 ნოემბერი, 1837

გარდაცვალის თარიღი 12 სექტემბერი, 1907

(69 წლის ასაკში)

დაკრძალვის ადგილი მთაწმინდის პანთეონი, თბილისი

კატეფორია მწერალი, პოეტი, პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, წმინდანი



## ბიოგრაფია



8 წლამდე იზრდებოდა ფშავში, სოფელ ჩარგალში მამის, სოფლის მღვდლის მავლეს, და დედის, ბარბალე (გულქან) ფხიველაშვილის წვრილშვილიან თჯახში.

სწავლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში, 1877-1879 — თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში, 1879-იდან გორის სამასწავლებლო (საისტატო) სემინარიაში, რომელიც 1882 წელს დამთავრა. სიმართლისმამოებლის თანდაყოლილმა მოწოდებამ ვაჟა-ფშაველა გორის ხალხოსანთა წრესთან დაახლოვა. ერთხანს ამტნისხევში მასწავლობლობდა, 1883-1884 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი იყო.

ხელმოვლეობის გამო მაღვე დატოვა უნივერსიტეტი და რამდენიმე წელიწადის მუშაობდა ჯერ თთარაშენში, ამილახვარის ოჯახში, შინამასწავლებლად. შემდეგ დიდი თონეთის სოფლის სკოლაში. 1888-იდან ჩარგალშიცხოვრიობდა, სხვა გლეხებით ხნავდა მიწას, უვლიდა საქონელს და ნადირობდა. მთის ხალხში დიდი გვალენით სარგებლობდა. იშვიათად ჩამოდიოდა ბარად. ფშაური ზამთრის გრძელ ღამეებში დაიწერა მისი გენიალური პოემები, მოთხოვიბები და ლექსები. ფშავში, მდინარე ჩაგლურას ნაპირას, დგას პატარა ქვიტკირის სახლი. სწორედ ამ სახლში 1862 წლის 14 ივნისს დაიბადა ლუკა რაზივაშვილი, რომელსაც ჩვენ ვაჟა-ფშაველას ფსევდონიმით ვიცნობთ. ვაჟას მამა იშვიათი ნიჭის პატრონი, მჭვრმეტყველი, ცნობისმოყვარე და მწიგნობარი ვაცი ყოფილა. მას თვითონ შეუსწავლია წერა-კითხვა და მღვდელი გამხდარა. მამამ ჩაუნერგა შვილებს წიგნის სიყვარული, უამბობდა დავით აღმაშენებელზე, ქართველ და უცხოელ გრიგორზე, აყვარებდა „ვეფხისტყაოსანს“ და სახელოვან თანამედროვეთა - ილიასა და ავავის ქმნილებებს. მანვე ჩაუნეგრა შვილებს სასულიერო წიგნებისადმი სიყვარული. ვაჟა-ფშაველა იყონებს, როგორ სულგანაბული უსმენდა მამის ტკბილ საუბარს, როდესაც იგი საღმრთო ისტორიიდან უამბობდა. დედა კი საგმირო ამბებს, ფშაურ თქმულებებსა და ლექსებს აცნობდა. დედის წყალობრივი ვაჟამ უამრავი ხალხური ლექსი იცოდა ზეპირად, ისე რომ ყველას უკვირდა, ერთი ადამიანი როგორ ახრეხებდა ამდენი ლექსის დამახსოვრებას.

ასე იზრდებოდა ვაჟა რვა წლისა კი თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. მაგრამ აბა რა სიკეთე იქნებოდა იმ სასწავლებლიდან, სადაც ბავშვი საკუთარ მეობას, ეროვნებასა და მშიბლიურ ენას ივიწყებდა. თელავის სასწავლებელში მიღებული ცოდნა საკმარისი არ აღმოჩნდა. სწორედ ამ მიზეზით ვეღარ განაგრძო სწავლა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში და გორის საოსტატ სემინარიაში შევიდა. აქ ვაჟა გულმოდგინედ სწავლობდა. უკვე განესაზღვრა თავისი მომავალი - საზოგადოებრივი მოღვაწეობა და მხატვრული შემოქმედება იქნებოდა მისი საქმიანობა.

სემინარიაში სტუდენტები ხელნაწერ უწერნალს - „რიერაჟს“ გამოსცემდნენ. ვაჟა-ფშაველა ამ გამომცემლობის აქტიური თანამმრობელი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. მაღვე მისი თარგმანები და ლექსები გაზეთ „დროებასა“ და უზრისალ „ომედში“ გამოჩნდა ამ დროს იგი მასწავლებლიად მუშაობდა. შემდეგ კი პეტერბურგში გაემგზავრა და თავისუფალ მსმენელად შევიდა უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. მაგრამ ხელმოკლეობის გამო მიატოვა, სამშობლოში დაბრუნდა და ჩარგალში დასახლდა. ვაჟას წვრილშვილი ჰყავდა და ლუკმაპურის სამოვნელად დიდი ჯაფის გაწევა უხდებოდა. იგი ბევრს შრომობდა, მაგრამ გაჭირვებას თავს მაინც კურ აღწევდა. როგორც ამბობენ, ჯანღონე კი დიდი ჰქონდა, მაგრამ მეურნის გონება კი - არა, რადგან მისი ფიქრი სულ სხვაგან ჰქონდა. როდესაც „თავისი ანგელოზები“ ეწვეოდნენ, მუქამის თავს მიანებებდა და დიდი მოწოდების აღსასრულებლად გარბოდა. ერთხელ ცოლმა უსაყვედურა ჩვენ საჭმელი არა გვაქვს, შენ კი სულ ჯღაბნი და ჯღამნით ვაჟას გასცინებია და უპასუხნია: ეეჭ, შე საწყალო უსწავლელი ხარ და რა გითხრა. ნასწავლირომ იყო, მაგ სიტყვას არ გაპატივებდიო.

ვაჟა არა მარტი ბუმბერაზი შერალი, ბუმბერაზი პიროვნებაც იყო. იმდენი ქება-დიდება, მოწონება ეხმოდა, მაგრამ იგი ისევ უბრალო, თავმდამალი ვაჟა იყო, საყვარელი ვაჟა, გაჭირვებაში მყოფი, ვაჟაცურად მეტროლი ამ გაჭირვებასთან” (დავით კლდიაშვილი).



მძიმე მრობამ და შექირვებამ ვაკას მაღლე შეურყია ჯანმრთელობა. მას ფილტვის პლევრიტი დაუდგინეს და ასერაციაც გაუკეთეს. ერთხანს თითქოს მოიკვეთა. ქართულმა სიტყვაკაზმულმა საზოგადოებამ ისარგებლა მგონის გამოკეთებით და ლიტერატურული სადამო გაუმართა, რომლის ბოლოსაც ვაკას მიართვეს დაფნის გვირგვინი წარწერით - ქართული პოეზიის არწივეს.

ვაკა-ფშაველას შემოქმედება ხალხს ძლიერ უყვარდა. იგი მოუწვევიათ ქუთაისში, გორში, ჭიათურასა და ფოთში. დიდად აფასებდნენ იმდროინდელი გამოჩენილი მოღვაწენიც. ილია ჭავჭავაძე აღფრთოვანებით ამბობს: „ჩვენ, ძველებმა, ახლა კალამი უნდა მირს დავდოთ და გზა ვაკას უნდა დაფუთმოთ“. ვაკაც, როდესაც კი თბილისში წამოვიდოდა, თავის ნაწერებს ერთ ჭრელ ხურჯინში ჩააწყობდა, პირველად ილიასთან შეივლიდა, იმ ხურჯინს იქ დაბერტყავდა შემდეგ კი ეს მარგალიტები ქართული ეკრანალ-გაზეთების ფურცლებზე ამრწყვიალდებოდნენ ხოლმე.



მუხრალმა სენმა ვაკას თავი მაინც არ ანგისა. მიუხედავად ექიმთა მცდელობისა, ვეღარ უშველეს 1915 წლის 27 ივნისს ვაკაუმაველა გარდაიცვალა. იგი ჯერ დიდუქის პანთეონში დაკრძალეს, გარდაცვალებიდან 20 წლისთავზე კი მთაწმინდაზე ასვენეს, რადგან ტიტიან ტაბიძისა არ იყოს „მთაწმინდა ისე არავის ეკადრება, როგორც ამ მართლა წმინდა მთას“.

წყარო Wikipedia.org  
Buki.ge

## ქართველი მწერლების საბავშვო მოთხოვები და ლექსები.

### მოთხოვებები

#### წვიმის წვეთები

გაზაფხულდა,

შხაპუნა წვიმა მოვიდა.

შზე პირს იბანსო, უხარიდათ მთებს.

მსხვილი წვეთები ტყაპატყუპით ცვიოდნენ მინდოოში და ისე ლამაზად ბრწყინავდნენ შეზე, გეგონებოდათ, ვიღაცა მარგალიტები გადმოაპნიაო.

წვიმამ, სამწუხაოდ, მაღლე გადაიღო. ნაწყიმარი მინდოო გამრა და ეს ზღაპრული სილამაზე სიზმარივით უკერად გაქრა.

მხოლოდ ერთ ბებერ, უმნი რცხილას შემორჩა თავის პატარა ფოთლებზე წვიმის წვეთები.



გახარებული გაიმართა წელში ხანდაზმული ხე, მხრებიც ამაყად გამაღლა, მაგრამ შხაპუნა წვიმასავით ხანმოკლე აღმოჩნდა მისი სიხარულიც.

წვიმის წვეთებს მაღლე მობეზრდათ მის ფოთლებზე უსაქმიდ ჯდომა და ერთ-ერთმა თქვა:

- აქ ყოფნა, ძმებო, ხეირს არ დაგვაყრის! წავიდეთ, გავიაროთ, ჭვეუანა ვნახოთ!
- მეზარება! - უპასუხა მუორემ, თავისი სილამაზით ტკბებოდა და ვერ გამძლარიყო.



- წავიდეთ, წავიდეთ! - მხიარულად აფუქანდნენ დანარჩენები, ტყაპატყუპით ჩავივდნენ მირს, დაგორდნენ ყვავილებით გადაჭრელებულ ფერდობზე და ხევში ხალისიანად მოჩხრიალე ნაკადულს შეუერთდნენ.

ზარმაცი და პრანქია წვეთი ადგილიდან არ განძრეულა, მხოლოდ თვალი გაყოლა ნაკადულს. ცხვირი დამცინავად ამზიკა და თქვა:

- ა, სულელები! წეტა რა მიარბენინებდათ?! ახია მაგათზე!  
დარჩენილიყვნენ აქ და ჩემსავით გადარჩებოდნენ! - მერე კვლავ  
პრანქვა-გრეხვა განაგრძო, მაგრამ მარტოს მალე მოსწყინდა,  
მთქარება აუგარდა და ბოლოს ჩაეძინა კიდეც.

შუადღისას მზემ მაგრა დაცხუნა, მძინარე წვეთი აორთქლდა და...  
უკვალოდ გაქრა.

ახლა მან ისევ წვიმას უნდა უცადოს, რომ მის ახალ წვეთად იქცეს  
და ცხოვრება თავიდან დაიწყოს, მაგრამ ვინ იცის, გაწვიმდება  
კიდევ?! და თუ გაწვიმდება, როდის?!

ნაკადული კი ამასობაში მხიარულად მოჩხრიალებს თვალწარმტაც ხეები, მალე სხვა, ასეთივე ლამაზ ნაკადულებს  
შეუერთდება, იქცევა დელედ, წისქვილის ქვას დაატრიალებს, ვრცელ მინდოოს მორწყვეს, მერე დელე დელეს შეუერთდება  
და იქცევა მდინარედ, მძლავრ ელუქტროსადგურს ამუშავებს, მერე ისევ განაგრძობს დინებას, თანდათან უფრო და უფრო  
გადიდდება და ბოლოს ლურჯ, თვალუწვდენელ, საოცნებო ზღვას შეერევა...

დაჭით ჯაფახიშვილი

## გაზაფხული

სითბომ სახიამოვნოდ შეუღიტინა.. ცოტათი შეიმტება, მავრამ თვალის გახელა დაეზარა. მერე ისევ შეუღიტინა სითბომ,  
მერე ისევ.



მგონი, რაღაც კარგი ხდებაო, გაიფიქრა ენძელამ და თვალი გაახილა.  
გარშემო თითქმის ბნელოდა. ყვავილებს ეძინათ, ზოგს ხავისის ხაბანი  
გადაეფარებინა, ზოგს თავისივე ფოთლები, ზოგი გულაღმა იწვა, ზოგიც  
პირჭევა, ზოგს პაწაწინა ყლორტებში ჩაერგო თავი და მშეიღად  
ფრვინავდა, ზოგიც, რაც არ უნდა გასავავირი იყოს, ხმამაღლი ხვრინვით  
არღვევდა გამეფეხულ სიჩუმეს...

ენძელამ თვალები მოიფეხნიტა, მხრები მოისრისა, მერე სახეზე შეისხა  
იქვე მოწამებულე რუს ცოტცივი და ანკარა წყალი. ახლა უკვე  
შეუჩინვად მოეხსენებოდა, რომ გაზაფხული მოახლოვებულიყო და  
სწორედ მისი სითბო არ ასვენებდა, აღარ აძლევდა მიღის გაგრძელების  
საშუალებას.

გამოფხიზლებულმა, გაზაფხულის მოღოდინით გულათოლებულმა ენძელამ დანარჩენ ყვავილებს ღიმილით  
მოახლო თვალი და წრიპინა ხმით ნაზად შესმახა, გაიღვიმეთ, გაზაფხული მოდისო. თითოოროლამ თვალი  
ჰყიცა... ევეპ, ნეტაი, შენაო, ჩაიქნიეს ხელი ენძელამ დანახვაზე და ისევ ამოუშვეს ფშვინვა. მოკლედ, ენძელას შეძახილ  
არავინ უგდო ყური, აღბათ, მათი დრო ჯერ არ დამდგარიყო. ენძელამ ტანზე დაიხედა მზის სინათლე თითქმის ვერ  
აღწვედა, მაგრამ ყვავილს ხიბნელის თვის თვალი ჰქონდა შეჩვეული, ის ხომ აქ დიღხანს ეღოდა გაზაფხულის  
მოახლოვებას. კაბანაზად ჩამოიძერტყა, ნაკეცები სათუთად გაასწირა, თავზეც გადაისვა ხელი, ვარცხნილობა შეიმოწმა,  
აღბათ სურდა, ლამაზე ლამაზი ყოფილიყო. მერე ზევით აიხედა \_ მიწის თხელი ფენა ამორტებდა გაზაფხულის კამკამა  
ჰაერს. ენძელა ნელ-ნელა აიწვერა, ყლორტებით ჩაექიდა მიწას, მისი რბილი, ნესტიანი ნამცეცები ადვილად მისწირმისწია  
ისე, რომ ასვლის საშუალება მისცემოდა. ნასერულმა მხიარულად აციმციმდა მზის ხსივი. წმელა ნასვრევის კიდეებს  
ჩაეჭიდა და უფრო მეტი ხალისით შეუდგა ზევით ასვლას.

ოდნავ მოყინული და თოვლის ნარჩენებით  
აქრელებული მიწის ზედაპირზე ენძელას კომწია თავი  
გამოსწავდა, თავს პაწია დეროც მოპეყვა, პაწიავე  
ფოთლებით, წელში გამართა და ზემოთ, მზისკენ  
აიხედა მზე სათუთად უღიმოდა, დაიმორცხვა  
ენძელამ. თავი დახარა. მერე მორიდებით დაცოტა არ  
იყოს, შიშითაც მიმოიხედა ჯერ სულ მარტო იყო.  
თუმცა, არა, მზე და მიწის ნოტით ზედაპირიც ხომ აქ  
იყვნენ. ორივე შეპხაროდა პაწაწინა ყვავილს. მიწას  
ხელის გულზე დაესხა ენძელა, მზე კი ციდან  
ათბობდა.



ენძელაც ბედნიერი იყო. საოცრად, საოცრად უხაროდა ოე-მარეზეგამოჩენა. ხუმრობა საქმე ხომ არა აძქვევნად  
დაბადება. ისიც გაზაფხულის სუსტიან რიურაქს.

ნანა კაციშვილი

# ლექსები

## ვაი დედასა!

ტყეში გაისმა კიკინი,  
შეიძრა მთები სურების,  
კუჭება მომხმარმა ტურებმა  
გამოიფხივეს ყურები.

სოროებიდან გამოძვრნენ,  
აუბაგუნდათ გულები,  
გაიხედ-გამოიხედეს,  
დაზვერეს გზები ურები.

უცებ წააწყდნენ ბეკვას,  
დროა აღარ იყო ყურების,  
თონეში ცეცხლი ჩაანთეს,  
დააცხვეს დედას პურები,

მოიპატიუეს სტუმრები,  
მოხადეს სავსე ჭურები.  
ვაი დედასა! სად იყვნენ  
ბროლიები და მურები!

ნოდარ დუმშამე

### მოდიოდა ნინო მთებით

ლურჯ მწვერვალებს  
ქარი რძისფერ ნისლში ხვევდა...  
და, როოდესაც ბარმი ვარდნი ყვაოოდნენ,  
თოოვლი იდოო ჯავახეთის მთათა ზედა  
და ტყებმი ქარიშხლები ბდაოოდნენ...  
მოოპკიოოდა, ქარი ღრუბლებს მოოპკიოოდა  
და ფარავანს ტბასა ზედა ძრწოოდა ქარი...  
მოოდიოოდა, ნინო მთებით მოდოოდა  
და მოპკიონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...  
თოვლის მთებით ჰკვირდებითდა უცხო მგზავრი,-  
ვის უნახავს ვარდობისას თოვლი მთებზე?  
მწყემსსა ჰკითხა: როომელია ქართლის გზაი?  
მწყემსმა უთხრა: საქართველო არის ესე...  
მიემინა... ერთწალვოტში მიემინა  
და ფშატებმა მზისგან მოუჩრდილეოო; ოო,  
ეს ვინ არი, გამოოცხადდა მგზავრის წინა?  
„ნუ გეშინინ!“ - უუბნება იესოო...  
გაელვიძა... წუთით იგრძნოო მშობლის სვდა,  
მაგრამ ძრწენა ავალებდა რაოოდენს?  
თოოვლი იდოო ჯავახეთის მთათა ზედა  
და ტყებმი ქარიშხლები ბდაოოდნენ...

ანა კალანდაძე 1954

### პაწაწინა რტო ვარ

მეფერება მზე ალერსის მთოვარს,  
ვარდისფერად ცამან ჩამომთოვა...  
მე მიგალობს, როდი მიმატოვა,  
თოხიტარა, პაწაწინა რტო ვარ...  
ქარი მარხევს და ყვავილებს მაცლის,  
ყვავილს მომწყვეტს, გაიტაცებს მინდვრად...  
და მიყვავე, ქარო, ნუხარ მკაცრი:  
პატარა ვარ, მოფერება მინდა!  
მითხარიო: როგორ, როგორ ვანდო  
საიდუმლო აშარსა და მსტოვარს?  
მებაღეო, ნუ დამტოვებ მარტო,  
მეშინია, პაწაწინა რტო ვარ!

ანა კალანდაძე



### ლომი და მელია

ლომი ძლიერავად გამზღვარიყო და უძრავად იწვა თავის ბუნებაში.

მიდიოდნენ მის სანახავად სხვადასხვა მხეცები.

ხელცარიელი არავინ მიდიოდა აფადმყოფოა, მოპქონდათ ხილი და ბოსტნული, ხორცი და კავალი...

ყველა თავისი წესისამებრ ცდილობდა ავადმყოფის მოვლასა და გამხილულებას.

თხუნელებმა ტყიდან ხის ნაფოტები მოიტანეს და ლომის ბუნები ბუხარი აფიზგოზეს.

მგელმა სამზარეულოს მიაშურა და იხეთი დჯგალი მოუხარის თავის ბატონს, რომ წერწყვისაგან სული ეხუთებოდა.

არც ბუთა ოჯახი დარჩემილი კალში ბატონს, ჰათბალაბისა და ბოსტნულისაგან მინაური წამალი მოუმშადეს.

ტყის მომდერალმა გუნდმა ავადმყოფ ბატონს თავის ისტატისა უჩვენეს.

თავს ფულებთდნენ და უფლიდნენ თავიანთ ბატონს, ხოლოდ მელია არსადანდა და ყველა კითხულოდა.

- წერაგ სად არის დღეს მელია, რომ არსადანს?

მგელმა ყველას გასაგინდ თქვა:

როგორ მოდენა და ქეიფია, მელა ხომ არასდროს არ დააკლდება და დღეს რაღად მოვა; იცის, რომ გამოსარჩენს ვერაფერს გამოედიხო.



ლომმა მალიან იწყინა მელის ასეთი უყურადღებობა. მხეცები ფეინ ლამით დაიმაღლენენ.


- შემ რა ტომ არ იმახულე ჩენი ავადმყოფი ბატონი? — ჰეითხა თხუნელამ მელას.

პასუხად მელამ განაწყენ მელი სტუმარი შინ მუპატიფა და სუფრა გაუმართა.

შუა ქეიფი თხუნელამ მელას მელის ნათქვამი გადასცა მელა გაჯავრდა.

- დამატადოს, მე ვაყურებინებ იმას სეირსო.

მეორე დღეს მხეცები ნაადრევად გაემართნენ ლომის სანახავად.



ავადმყოფ ლომს ვეფხვიც ეწვია ოჯახით ური.

სად იყო სად არა, სასახლესთან მელია მოცემული და მდაბლაც დაუჭრა თავი და სალაში მიუმდვნა, ლომმა უსაფერდოა:

- სად იყვავი ამდენ ხანს, რა ტომ არ მნახეთ?

- მელიამ თავი იმართდა.

თქვენთ დიდებულებაც, როგორ თქვენი ავადმყოფის ამბავი გავიგე, თავზარდაცემული გავიტევი, ქარებ სდაკემპებდა, ყველას ვთხოვდი შეელას და რჩევას, წვენ დიდებულ მეფეს რა წამალი არგ გასმეთქი. ძირჩიეს მგელს ფეხი მოსტეხოს, კოჭი ამორთვას და ნადირთ მეფეს მიაზთვანო.



მივარდა ვეფხვი მგელს და მოსტეხა უკანა ფეხი, მგელს თქოდით წამოუკიდა სისხლი, ფეხები სულ გაუწიოთლდა და ღმულით მოშორდა მხეცებს. უკან მელია გამოფდევნა და მიაძახა.

წითელზე მებიანო, ხაით მიბრძანდები? როდესაც სიტყვას ამბო, დაფიქტდი და სხვას ორმოს ნუ უთხრიო.



## ლექსები

### მეოცნებებს

მწვანე ვწებაში შენ ნახულობ სიამოვნებას.  
შენ მოგწონს მწარე ცრემლების დენა.  
ამაო ცეცხლით, მხურვალებით არ ღლი გონებას  
და გულში ბუდობს ნაღვლიანი დაჩუმი ტკენა.  
არ გყვარებია, დამიჯერე, უვიცო ბავშვო,  
ნეტავი ერთხელ, ცრემლს თვალებზე რომ აღარ აძრობ,  
შეგემთხვეს ნამდვილ სიყვარულის შეაგი წამება,  
რომ ის შენ სისხლში დატრიალებს შხამის აღებად.  
როცა უძილო დამის შევმა, გრძელმა წუთება  
ლოგინში ნელა გტანჯოს მოგცეს გულის ხუთება.  
გენატროს ძილი და შებრალება  
კერც წამწამები შეკრან თვალებმა  
ეხუტებოდე შენ ქვითინით მხურვალე საბანს,  
ცოფი გახმობდეს, უნაყოფო სურვილით ჯაბნის,  
გჯეროდეს ვერც კი დაიკვეხნიდა  
მისდამი ზიანს შენდამი გონება  
დაეცემოდა სატრფოს ფეხებთან  
და თავით ღმერთებს გასაგონებლად,  
გაოგნებული, ფერწასული, აცანგახებით,  
რაც კიძალა გაქვს დაიძახებდი:  
„მომეცით, ღმერთნო, დამიბრუნეთ საწყალი გონი,  
დამომაშორეთ ეს მაცდური სახის ჩვენება“ ...  
მაგრამ ის სახე, სიყვარული ბნელ გულის მქონი,  
შენ შეგრჩებოდა მაინც მარად, როგორც ხსენება

ალექსანდრე პუშკინი (1818)

### კავკასია

შე გადავცემერი კავკასიონის, და ვდგავარ საშიშ  
ნაპრალის პირად - მყინვარების და თოვლის ზევით;  
გადაღმა კლდეზე წამოფრინდ არწივი რხევით,  
შე გამისწორდა და უძრავად ელვარებს ცაში.  
ვხედავ ასტეხა ნიაღვარმა თავის ზვირთები  
და პირველ ზვავთა მოძრაობას მე ვაკვირდები.

ქვევით ღრუბლები თითქოს არსად მიიჩქარიან,  
მათ ჩანჩქერები ხლეჩავენ და სცვივიან ხრამში;  
შიშველი მთები ჩასდგომიან ერთმანეთს მხარში;  
სულ ძირს კი ხავსი, ხრიოკი და ეკალნარია;  
და სადაც მუხნარს ასე მწვანედ დაუბურია,  
ჩიტების სტვენა და ირმების თქარა-თქურია.

მთებში კი, როგორც ბუდები მრავალი ორბის,  
სახლები ჩანან ... ვალთებს ცხვირი შემოსევია,  
ნათელ მიდამოს აგერ უკვე მწყემსიც სწვევია, ¹  
ჩრდილიან ხევში აწყვეტილი არაგვი მორბის.  
ბედკრულ ცხენოსანს მოუნახავს კლდეში კარავი,  
განგამებს თერგი გულზვიადი და შემზარავი.

თამაშობს, ღმუის, როგორც მხეცი, რომელიც ბორგავს,  
თუ შეიყოსა გალიაში სამიგნი ლეში;  
ვეღარ ვტავა თავის ვიწრო საპყობილეში  
და მშერ ზვირთით გარინდებულ ნაპირებს ლოკავს.  
ამაოდ, მისთვის აღარც საზრდო, შველაც როდია,  
მისთვის კლდეები შემზღველი კალაპოტია.

ასე სიღადეს სულს უხუთავს კანონი ავი.  
ასე კირთები ქვეშ ღონდება ველური ტომი,  
ასევე ბრაზობს დღეს კავკასი მდუმარედ მდგომი,  
ასე სურს უცხო ძალებისგან დაიხსნას თავი.

ალექსანდრე პუშკინი (1829)

## თეთრი შეკლი

(ფრანგული ზღაპარი)



იყო ერთი გაცი. ჰქოვდა სამი ქალი. ერთხელ შეილებს უთხრა, სამოგზაუროდ მივდივარო.

— რას მომიტანო? — ჰქითხა უფროსმა ქალმა.

— რა გინდა რომ მოგიტანო?

— ლამზი კაბა მომიტანე.

— შენ რა მოგიტანო? — ჰქითხა მამამ შუათანა ქალს.

— მეც კაბა მომიტანე.

— შენ, ჩემი შეილო, შენ რა მოგიტანო? — ჰქითხა ბოლოლას, რომელიც სხვებზე  
მეტად უყვარდა.

— არაფერი მინდაო, — მიუგო ბოლოლამ.

— როგორ თუ არაფერი გინდაო?

— არაფერი, მამაჩემო, არაფერი მინდაო.



— შენს დებს შევპირდი, საჩუქრებს ჩამოგიტანთ-მეთქი და არ მინდა, არმაღანის გარეშე დამრჩე.

— მამ, მოლაპარაკე ვარდი მინდა მქონდესო.

— მოლაპარაკე ვარდი? — შესძახა მამამ. — მერედა, სად ვიძოვოთ?

— მამი, მე მხოლოდ მოლაპარაკე ვარდი მინდა, უმისოდ არ დაბრუნდეთ.

მამა გზას გაუდგა. მან ადვილად იშოვა ლამაზი კაბები უფროსი ქალებისთვის, მაგრამ ვისაც არა ჰქითხა, მოლაპარაკე ვარდის ამბავი, ყველაზ ხუმრობაში ჩამოართვა, ასეთი ვარდი ვის გაუგონია.

— ასეთი ვარდი რომ არ ყოფილიყო, ჩემი ქალი არ მთხოვდაო, — ამბობდა მამა. ერთხელ მშენებერი კოშკი დაინახა, საიდანაც რაღაც ხმაური მოისმოდა, კაცა მიაყურადა და ადამიანის ხმები გაარჩია. კოშკმი მღეროდნენ და ლაპარაკობდნენ. მან კოშკს რამდენიმეჯერ შემოუარა. ბოლოს ჭიშკარი იპოვა და ეზოში შევიდა. შუაგულ ეზოში ვარდის ბუჩქი ჰყვაოდა. სწორედ ამ ვარდების ხმა შემოესმა თურმე ქალების მამას. ვარდები ლაპარაკობდნენ და მღეროდნენ. როგორც იქნა, მოლაპარაკე ვარდი ვიპოვე, — გაიფიქრა და მაშინვე ერთი ცალი მოწყვიტა. მოწყვიტა თუ არა, თეთრი მგელი მოვიდა და იყვირა:



— ჩემს კოშკში შემოსვლის და ვარდების კრეფის უფლება ვინ მოგცა. ვინც აქ შემოვა, უნდა მოკვდეს და სიკვდილი არც შენ აგდებაო!

— გამიშვი და მოლაპარაკე ვარდს დაგიბრუნებო,

— სთხოვა საწყალმა კაცა.

— ვერ გაგიშვებ, უნდა მოკვდეთ.

— უბედური ვარ, უბედური! ჩემმა ქალმა მთხოვა მოლაპარაკე ვარდი მიმეტანა და ახლა, როცა ვიპოვე, უნდა მოკვდეთ?!

— ყური მიგდე, — უთხრა თეთრმა მგელმა,

— შეგიწყალებ და ვარდსაც გაგატან,

მაგრამ ერთი პირობით: შინ ვინც პირველი შეგხვდება, იმას მომიტვანო.

საწყალი კაცი შეპირდა, შენს თხოვნას შევასრულებო, და უკან გამობრუნდა. შინ მოვიდა თუ არა, პირველად თავისი ბოლოლა ქალი დაინახა.

— ეჭ, ჩემო შვილო, რა უბედურ ფეხზე წავედიო!

— რა იყო, მოლაპარაკე ვარდი ვერ იპოვეო?

— ჰქითხა ქალმა.

— ვიპოვე, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ,

ვარდი თეთრი მგელის კოშკის ეზოში მოწყვიტე და მგელი სიკვდილით მემუქრებაო.



— არა, ეს არ მინდა, შენს სიკვდილს ჩემი სიკვდილი მირჩევნიაო.

ქალმა ეს სიტყვები იმდენჯერ გაიმეორა, რომ ბოლოს მამამ უთხრა:

— თუ ასეა, ჩემი შვილო, გეტყვი იმას, რის თქმასაც არ ვაპირებდი: თეთრ მგელს

შევპირდი. ვინც შინ პირველი შემხვდება, იმას მოვიყვან-მეთქი, და მგელმაც გამომიშვაო.

— მამი, მზად ვარ გზას გავუდეგთო.

აი, მამა და შვილი თეთრი მგლის კოშკი წავიდნენ. იარეს, იარეს და ურთ საღა-  
მოს კოშკს მიადგნენ. თეთრი მგელი მაშინვე მოვიდა. ქალის მამამ უთხრა:

— აი, პირველად ეს შემხვდა, შინ რომ დავბრუნდი. ჩემი ქალია, მოლაპარაკე ვარდის  
მოტანა სწორედ ამან მთხოვთ.

— მე თქვენ არას გავნებთ, — უთხრა მათ თეთრმა მგელმა, — მაგრამ უნდა აღმით-  
ქვათ, რასაც აქ ნახავთ და გაიგონებთ, არავის ეტყვით. ეს კოშკი ფერიებისაა. ყველანი,  
ვინც აქ ვცხოვრობთ, მოჯადოებულზი ვართ. მე მისჯილი მაჭეს დღისით თეთრ მგლად  
გადავიქცე. თუ საიდუმლოების შენახვას შემლებთ, სასიკეთოდ თქვენვე მოგიმრუნდე-  
ბათო.

მამა-შვილი შევიდა ოთახში, სადაც მდიდრული სუფრა იყო გაშლილი. ისინი  
სუფრას შემოუსხდნენ და მადიანად შეეცენენ. მალე, სულ რომ ჩამობნელდა, ოთახში  
მშვენიერი ვაჟბატონი შემოვიდა. ეს ის ჭაბუკი იყო, თავდაპირველად თეთრ მგლად  
რომ გამოეცხადათ.

— ხომ ხედავთ, ამ მაგიდაზე რაც წერია: — კრინტი არ დასძრათ!

მამა და შვილი ისევ შეპირდნენ. საიდუმლოებას შევინახავთო.

ქალი ერთ ოთახში შეიყვანეს, სადაც მალე ისევ ის ლამაზი ბატონი შევიდა. ქალს მა-  
ლიან შეეშინდა და ყვირილი მორთო. ბატონმა იგი დაამშვიდა და უთხრა, თუ ჩემს  
რჩევას დაუჯერებ, ცოლად შეგირთავ, დედოფალი გახდები და ეს კოშკი შენი იქნებაო.  
მეორე დილით იგი ისევ თეთრ მგლად გადაიქცა. მისი საცოდავი ყმუილი რომ გაი-  
გონა, საბრალო ქალი ატირდა.



ქალის მამამ კიდევ ერთი ღამეგათავა კოშკი და შინ წავიდა. ქალი კოშკი დარჩა  
და სულ მალე იქაურობას შეეჩინა. რასაც კი მოისურვებდა, ყველაფერი ჰქონდა. ყო-  
ველდღიურად მის სმენას მუსიკა ატკბობდა. არაფერს იშურებდნენ, რომ გაერთოთ.  
შინ კი დედა და დები ძალიან წუხდნენ.

— ჩემი შვილი სად არის? ჩვენი და სად არისო? — სულ ერთთავად კითხულობდნენ.



გამოცანები, რებუსები, სახალისო ამოცანები, ბრძნული  
გამონათქვამები.

რებუსები

$$\text{ს} + 10 = \underline{\hspace{2cm}}$$

$$\text{ღ} + \text{100} = \underline{\hspace{2cm}}$$

$$\text{ნ} + \text{ა} = \underline{\hspace{2cm}}$$

$$\text{ც} + \text{ხ} + \text{ე} = \underline{\hspace{2cm}}$$

$$\text{ს} + \text{ო} + \text{ფ} = \underline{\hspace{2cm}}$$




$$\text{ვ} + \text{ი} = \underline{\hspace{2cm}}$$


$$\text{ძ} = \underline{\hspace{2cm}}$$

$$\text{ლ} + \text{ი} + \text{მ} = \underline{\hspace{2cm}}$$

$$\text{ც} - \text{ე} = \underline{\hspace{2cm}}$$


$$\text{ზ}. = \underline{\hspace{2cm}}$$





გამონათქვამები

- "მეგობრობა სრულებრივის ბედნიერებას და აქარწყლებს უბედურებას, რადგან სიხარულს გვიორმავებს და უბედურებას გვინახევრებს" - ჯოზეფ ედისონი
- "სიცოცხლე არაფერია მეგობრების გარეშე" - ციცერონი
- "ძალზე დამღლელია იმ ადამიანთან ურთიერთობა, რომელიც ყოველთვის მართალია" - აგატა კრისტი
- "ნამდვილი შეცდომებია, რომლებიც არ სწორდება" - კონფუცი
- "კუთილ ადამიანს ზოგჯერ ძალლისაც კი რცხვენია" - ჩეხოვი
- "-კარგი დასაწყისი - საქმის ნახევარია." - არისტოტელე
- "ისე მოეპყარი მშობლებს,

როგორც შენ ისურვებდი, რომ საკუთარი შვილები მოგეპყრ ან." - სოკრატე

- "მასწავლებლის უპატივცემულაბა მუდამ მოსწავლედ დარჩება" - ფრიდრიხ ნიცშე
  - "ყველაფერი გონიერაშია რასაც ფიქრობ ის ხდები" - ბუდა
- ოჯახში თუ ბავშვი არ იზრდება, იგი იღუპება:- ლაუბი
  - ღმერთმა მოგვცა ნათესავები... მადლობა ღმერთს რომ მეგობრებს ჩვენ თავად ვირჩევთ..." - ეთელ უორტს მამფორდი
- ადამიანის გონება მის მუშტებზე უფრო ძლიერია:- რაბლო
- უმჯობესია კიცხო საკუთარი შეცდომები ვიდრე სხვისი:- დემოკრიტე
- ვინც წინ არ მიდის, ის უკან მიჰყვება. ერთ ადგილზე დგომა არ არსებობს:- ბელინსკი
- ღმერთს გული გრძნობს და არა გონება. აი, რა არის რწმენა:- ტენდალი
- სიხარული სიცოცხლის შეგრძნებაა:- მარგოლიუსი
- აზროვნება დაძაბულობაა,
- რწმენა კი - კომფორტი:- მარკუზე
- რა ცარიელია ადამიანის გული!  
და რამდენი სიბილწეა  
ამ სიცარიელეში:- პასკალი



მე მყავს შვიდი ვაჟი. თითოეულ  
მათგანს თითო და ჰყავს.  
რამდენი შვილი მყოლია მე?

მლიერ უყვარს მას ბანანი  
და თუ იგრძნო მისი სუნი,  
კენწეროზე მოექცევა,  
ის პრანჭია

ცხვრის ბეწვისგან დავამზადეთ  
აბრეშუმის ფართალი.  
ტყუილი თუ მართალი?

გიორგი უფროსია თავის ძმაზე  
3 წლით. რამდენი წლით  
უფროსი იქნება 4 წლის  
შემდეგ?

რამდენი ბოლო აქვს ერთ ჯობს? .....  
რამდენი ბოლო აქვს ორ ჯობს? .....  
რამდენი ბოლო აქვს სამ ჯობს? .....  
რამდენი ბოლო აქვს ოთხნახევარ ჯობს? .....

იმდენი უბრაგუნეს,  
აადინეს ბოლი,  
ცეკვის ინსტრუმენტია,  
ეწოდება

ტყეში ორნი წავიდნენ და  
ხუთი სოკო იპოვნეს.  
რამდენ სოკოს იპოვნიდნენ,  
ოთხნი რომ წასულიყვნენ?



წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ გემის  
კაპიტანი ხართ. გემზე არის 25  
მეზღვაური. თითოეული მათგანი  
25 წლისაა.  
რამდენი წლისაა კაპიტანი? .....

ცხვირით კვერცხი გამოტეხა,  
ამოხტა და იწივლა,  
ქათმის გვერდით  
დაწვაპუნობს  
პაწაწინა



### სად დაიკარგა ერთი ლარი?

სასადილოში, პურის საქმელად, სამი კაცი შევიდა. როგა დანაყრდნები, მებუფეტები იანგარიშა დანახარჯი და მოითხოვა 30 ლარი. თითოეულმა გადაიხადა 10 ლარი. როგა წამოვიდნენ, მებუფეტები ხელმეორედ დაიანგარიშა დანახარჯი და აღმოჩნდა, რომ 5 ლარი ზედმეტი გამოურთდება.

ეს 5 ლარი იქვე მდგომ ბავშვს გაატანა კაცებისათვის გადასაცემად. ბავშვმა სამ კაცს თითო ლარი გადასცა, 2 ლარი კი თვითონ მიითვის.

ამდა ვიანგარიშოთ: სამშა კაცმა გადაიხადა ათ-ათი ლარი, თითო ლარი კი უკან დაუტრუნეს. ე. ა. თითოეულმა დახარჯა 9 ლარი. სამივემ ერთად დახარჯა  $3 \times 9 = 27$  (ლარი). ამას დაფუძმატოთ ბავშვის მიერ მითვისებული 2 ლარი და გამოვა  $27 + 2 = 29$  (ლარი). გადახდილი კი იყო 30 ლარი. სად დაიკარგა 1 ლარი ლარი?

პასუხი:

# გამოცანები

1) ზამთრის მიღი უყვარს ძლიერ და მაინის ტკბილო თავილი,  
აჩვინის ემინთა, თუ გვერდით ყავს დედა - დათვი,  
შუთხუნა და საფვრელი თქვი, ვინ არის? დათვის .....

2) ქაობების ბინადარი  
ყიყინა და ამავი,  
ასერება, თვალებს გარკლავს,  
თქვი, ვინ არის? .....

3) ერთ პატარა თაგურას  
თავზე ქოლგა ახურავს,  
სულ დამ-დამ დაფრინავს  
თქვი, რა პეტა? .....

4) კრისტოფერის მწერა,  
მწვანე როგორი მსალა,  
მილა-მილა და სტუნკა  
ეწოდება .....

5) ჩვენთან ზოოპარკში მახაფთ,  
მუდამ ტყისკენ ისწრაფვის,  
უწყინარი ცხოველია,  
გრძელვისერა .....

6) თურმე უყვარს ძეგნას წყალი  
და ვერ მივხვდი მე საწყალი  
ასე როგორ გახმებოდა,  
რომ ყოველდღე მესის .....

7) ცხენს ფლოქვებზე აჭედებენ  
ზაზე რჩება მისგან გვალი,  
რეინა არის მოგრეხილი,  
ალბათ მიხვდი, ჰქვია .....

8) აღმართ-აღმართ დავატარებთ,  
ოთხა ფიფქი ცვითა ციდან,  
დაღმართებში არხეინად  
დაგვაქროლებს. რაა? .....

9) რძის ნაწარმი მეტა ვარ,  
ენერგიის მარაგი,  
პურს წაუსკით, მიირთვით  
გემრიელი .....

10) უწყინარი ცხოველია  
და არ უთხრათ სიტყვა მეირი,  
ყველას ტვირთს, რომ ეზიდება,  
მიტომ ხომ არ ჰქვია .....

11) ტკაცმლის ბიძაშვილი ვარ  
ხეზე მარხევს ნიავი,  
ტკბილი ვარ და ლურჯი ვარ,  
თქვით, ვინა ვარ! .....

12) ბალაზუმში იმაღება,  
ქა არის გრძელი,  
მინმიანი ქვემირომია,  
რა ყოფილა?

13) ცხენი არის, იღვიძლავ  
ციცენა ზომა-წინის,  
ბავშვების რომ პერინების,  
ეწოდება .....

14) მომღერალი ჩიტრი მდგავს,  
დღე გალობით გალია,  
გარეთ ხომ არ გავაგდება,  
გავლენათ გადასახლება .....



15) თოვლისაგან გაფაეფთე,  
რა ახურავს თავზე? – ტაფა!  
ცხვირი კურდლელს მოუპარავს,  
თქვით, რა არის? .....

16) მწვანე ვარ და გასაზრდელად  
წყალი მინდა ბევრი ლიტრი,  
მე საღათის შევენება ვარ  
და სახელად მქვია .....

17) დაზამთრდა და ქალაქს თავზე თეთრი ქუდი ეხურა... მიგვატოვეს ჩიტუნებმა  
მარტის თვემდე ეულად... მზოლოდ ერთი არ გვდალატობს, დაგვთიპებულს  
ერთგულად, პაწაწინა, მომუზული, თქვი, ვინ არის?

თავსატესები, ენის გასატები.

თავსატესები



## კინტე ჭარბატენი.

ჭინჭარში ჭიჭინობელა ჭიანურივით ჭიჭინებს.

თამთა თეთრი თუთას თქაფთქაფით ჭამდა.

ყვავო, ყვავო, ყვანჩალა, აქ რამ მოგაჩანჩალა?

კაჭაჭში კაჭკაჭი ჭიანჭველას არ აჭაჭანებს.

აბლაბუდა, მაბლაბუდა, შიგ ობობა გაბლანდულა

შარიანი შარისათვის შარს დაეძებს შარა-შარა.

ეს შემა საშასია! ეს შემა საშასია! ეს შემა საშასია!

ციყვი, ჩხიკვი, ციყვი, ჩხიკვი, ციყვი, ჩხიკვი,  
ციყვი, ჩხიკვი, ციყვი, ჩხიკვი,

წამხედულმა წაიხედა, ცალი ფეხი წაიტება

ცივი ცვარი ცვივა ციდან, სცივა, სცივა  
ციდა ცინდალს. ცხიკდა ცხიკო აცემინებს,  
ციცქა ცხვირი გაუცივდა.

გაპარჭინა გურიშვილი გური გაპარჭინაშვილი  
ჯავახია ჯოხიშვილი ჯოხი ჯავახიაშვილი


დაფაციებულნი ფრინველნი უფრთ  
დაფაციულდებიან.

ნიორი ნანიორალში, რიონი ნარიონალში.

თოქალთო დავათოქალთო დათოქალთოქალია

# გააფერადე





იპოვე განსხვავება



იპოვეთ 6 განსხვავება



რამდენ განსხვაურას იპოვი?

## ფოთოლცვენა

-თანდათან სუსხი შეერია ზაფხულის მზის მცხუნვარებას. შევცერი ირგვლივ ბუნებას და სევდით მევსება გული...



მიწაზე ყვითელმა ფოთლებმა ხაღანია დააგეს. უცებჩემს წინ უმწეო, პაწია აღუბლის ფოთოლი დაეცა „ფეხი არ დააბიჯო“ -შემომტირა შესაბრალისად, ფრთხილად ავიდე, გულში ჩავიკარი, მოვესათუთე და ვანუგუშქ:

-ჩუ, ნუ სტირი პაწიავ! გაივლის სუსხიანი დღეები და კვლავ მოვა გაზაფხული, ახალ სიცოცხლეს მოგიტანს და შენც მწვანედ დაიბადები. მოითმინე, ცოტაც მოითმინე.

უცებ ქარმა ძლიერ დაუბერა ხელის გულზე ფაქიზად დადებული პაწია, უმწეო ფოთოლი მომტაცა და მაღლა-მაღლა გააქროლა. დიდხანს ატრიალა ჰაერში, შემდეგ კი სადღაც გადაკარგა.

მე კი გაუნმრევლად ვიდექი, დიდხანს ვეცეროდი აღუბლის ფოთოლს, ნაღვლიანად ვფიქრობდი მის ბედზე და ჩემს ამაო ნუგეშზე!

-ნერა რამ შეუცვალა ფერი მწვანედ მოხასასე მინდონს? მცხუნვარე მზის სხივმა ხომ არა? იქნებ რძისფერმა ნისლმა? ბურანში რომ გაუხვევია ბუმბერაზი მთები?

ნიავმა ჩაუქროლა მაღლა ნაცნობ ტირიფებს, კავლისა და აღუბლის, მსხლისა და ვაშლის ფესვმაგარ ხეებს, ჩამოუქროლა და დაერია ხეებს.



თამუნა კორჩხელი





უღრანს ტყეში მოსული ვარ... მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატკბობ ტყეს, ბალას და იმ გაღმიდამ გამომცემრალს გულხავსიანს კლდესა, სურნელებას მივაფრქვევ არე-მარეს. ყველას ვუყვარვარ: აგრ იმ დამპალს ყუნწს თვალი სულ ჩემსკენ უჭირავს. მიცინის ხოლმე, უნდა ჩემთან მოვიდეს, — მაკოცოს, მაგრამ არ შეუძლიან, მხოლოდ შორიდამ გამიცინებს, გაიღიმება საცოდავი, თუმცა უშნოდ, მაგრამ გულვეთილობა-კი დიდი გადაეფინება ხოლმე პირზედ.

განა მარტო იმას უხარიან ჩემი სიცოცხლე? წვერხმელი ხეებიც მე დამხარიან ზევიდამ, თვითონ თავშიშველი, ტოლებს მე მაფარებენ: ჩვენს იას არ შევიცივდეს, ან არაურმა არ აწყინოს. პირდაპირ შხამუნა წვიმას არ უშვებენ ჩემამდის; წვიმას შეუძლიან ერთბაშად ჩამომაცალოს ფოთლები. უფოთლებოდ ყოფნა და სიკვდილი ჩემთვის ერთია. არა, ხეები: არყო, წიფელი, თხილი, თამელი, დუდგულა გარშემო მეხვევიან და მყარაულობენ, წვიმის ნამს ინახავენ ტოტებით, ფოთლებით და მერე ნელნელა მამცვრევენ პირზედ თითო-ოროლ ნამობით, პირსა მბანენ. მე ყელს მოვიღერებ და ვინატრებ, ნეტა სიძლერა შემემლოს, ნეტავი დამბადებელს ჩემთვის ნიჭი მოეცა, რომ მექო მაღლა ცა და ღრუბელი, მზე, ეს ჩემი მფარველი ხეები, ეს მთები, ის ჭალები და ღაბუა ჩიტები, რომელნიც ხმელს, ყვითელს ფოთლებში წითლის და მწვანის ფრთა-ბუმბულით ჩემს წინ დაგოგვენ და ხანდახან შემომჭიკვიკვებენ პირში, მათამაშებენ, უხარიანთ ჩემი სიცოცხლე. ჩემი ერთის თვის სიცოცხლე სხვის ოცდაოთხის თვის სიცოცხლეს სჯობია, მაგრამ დიდხანს სიცოცხლეს კი დანატრებული ვარ. დილას ერთმა "წიფლის-ჩიტამ" ჩემს ახლოს იგალობა, ლამაზი რამ იყო, — ყელწითელი, ღაბუა; იმასაც ჩემსავით თავი მოსწონდა, იხედებოდა გულზედ და მხრებზედ; ყველას მოსწონს თავი, ყველას უხარიან სიცოცხლე, ყველას უყვარს ბუნება.

გუშინ ცამ იჭექს. ჭეჭა-ჭუხილი ჩვენ არ გვაშინებს: ჭუხილი წვიმის მომასწავებელია და წვიმა ხომ ძუძუს გვაწივებს დედამიწის გულზე. მზე — მამა, ზევიდამ დაგვუურებს და გვეალერება, თვალ-ჭურს გვადევნებს. წვიმის მოსვლა მცენარეთ უხარიანთ, — უხარიანთ, ყელამდის სიხარულით მოიყარნენ; ებლა ისინი ახალ კაბებს და ქათიბებს ჩაიცმენ. აი ეს ორი დღვა, რაც ჩემი ღობილი სასუტელაც <sup>[1]</sup> ამოჩნდა; უხარიან, უხარიან საცოდავს, სულ თავს იქნევს დაბლა და მაღლა, უკრავს თავს დედამიწას, მზის სინათლეს, მეჩურრელება, ზღაპრებს მიამბობს სიცოცხლეზე, სიყვარულზე; ხანდახან კიდევ გაიკასვასებს, გადმამხევევა და მაკოცებს. გუშინ დილით მე და ჩემმა დობილმა ორივემ ვიტირეთ.



რა შეუბრალებელია კაცი?! რასაც კი დაინახავს, უნდა რომ თავის სასარგებლოდ მოიხმაროს. ალბათ ვერ აფასებს ჩვენს სილამაზებს! ჩვენ წინ კაცმა გამოიარა, ცალს მხარზედ ცული ედო, მეორეზედ თოფი კვიდა. მიადგა ერთს მშვენიერს ტოტგადართხმულს წიფველს, დაუშინა ცული და წააქცია. საბრალო, როდესაც წაიქცა, დაიკვნესა. ჩვენს იქით გულულისკაბა <sup>[2]</sup> ამოსულიყო და ჯერ ხმელს, ჩამოსულს ფოთოლს არ ამოსცილებოდა. როდესაც ხე წაიქცა, გადიყრეინა ზევიდამ ფოთლები და წითლად გამომჭვინდა, ცრემლები დასხმოდა ჩაღრმავებულს გულში.

შუადღის დროს დაღალულ-დაქანცული ქედანი მოვიდა და დაჯდა ჩვენს წინ თელის ტოტზე და დაიწყო ღუღუნი. უხაროდა იმასაც გაზაფხულის მოსვლა და ის, რომ მშვიდობით ნახა კიდევ ნაცნობი ადგილი. უცებ თოფი გავარდა, ქედანმა ხმა გაკმინდა, ჯერ ფეხით ჩამოეკიდა ტოტზე, მემრე მირს ჩამოვარდა, ჩემს წინ დაეცა. სისხლი წამოუვიდა ნისკარტიდამ და თვალები დახუჭა; გადმონადენი სისხლი წვეტ-წვეთად დაეტყო ფოთლებზე. მე და სასუტელას კანკალი მოვიკიდა... მე გარკვევით არაფერი მესმის, მხოლოდ რაღაც ბუბუნი, გრიალი, ბუნდი ურიამული მოდის ჩემამდის.

ვაჭა-ფშაველა

შენიშვნები:

<sup>[1]</sup>, <sup>[2]</sup> მცენარეა











ფასი: სახელშეკრულებლო.